ლევან ჯანგულაშვილი

ჩუქების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, [ლევან ჯანგულაშვილი]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: levan jangulaSvili

თარიღი : 30.07.2020

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი [ჯანგულაშვილი ლევანის] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [ჩუქების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები] და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზურაბ ძლიერიშვილი

თარიღი : 30.07.2020

რეზიუმე

კვლევის საგანს წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 529-ე და სსკ-ის 530-ე მუხლებით. აღნიშნული საკითხის მეცნიერულ დამუშავებას არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან ნაშრომში დამუშვებული ის პრობლემები, რომელიც ქართულ სამართალში ჩუქებას, როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის სახელშეკრულებო ინსტიტუტს ახასიათებს, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ჯერჯერობით არასრულყოფილად გვხვდება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში ძირითადი ყურადღება დაეთმობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზს, ქართულ სამეცნიერო ნაშრომებს, აგრეთვე უცხოურ ლიტერატურასა და სხვადასხვა ელექტრონულ საშუალებებზე დაყრდნობით მოძიებულ ინფორმაციას, საკვლევ თემასთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ მიმართულებებს ასპექტებს, რაც ვფიქრობ საინტერესო საფუძველს ქმნის მოცემული ნაშრომის დასამუშავებლად.

ნაშრომში ასევე განხილული იქნება უცხოური სასამართლო პრაქტიკა, სამართლებრივი რეგულაციები, კონტინენტური თუ პრეცენდენტული სამართლის ქვეყნების მიდგომები საკველევ საკითხთან მიმართებით.

კვლევის ბოლოს წარმოდგენილია შედეგების შეჯამება, მათი განსჯა. წარმოდგენილია რეკომენდაციები და დასკვნის სახით შემუშავებულია კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი დებულებები.

Abstract

The subject of the study is the legal basis and consequences of termination of the gift contract, which are provided for in the articles 529 and 530 of the Civil code of Georgia. The scientific study of this issue is not only theoretical, but also of great practical significance, since the problems discussed in the document, which characterize the gift in Georgian law as a contractual institution of origin of property rights, are still incomplete in the judicial practice of Georgia. Based on all the above, the article will focus on the analysis of decisions of the Supreme Court of Georgia, Georgian scientific works, as well as information obtained from foreign literature and various electronic means, theoretical and practical aspects related to the research topic, which, I think, provides an interesting basis for this article.

The document will also discuss the case law of foreign countries, legal norms, and approaches of continental or case law countries to the research problem.

A summary of the results is presented at the end of the study. The recommendations are presented and the main provisions identified as a result of the study are developed as a conclusion.

შინაარსი

შესავალი.....7
ლიტერატურის მიმოხილვა.....9
თავი 1. ჩუქების ხელშეკრულების წარმოშობა და განვითარება.....10
1.1 ჩუქების ხელშეკრულება რომის სამართალში.....10
1.2 ჩუქების ხელშეკრულება ძველ ქართულ სამართალში.....12
1.3 ჩუქების გაუქმების ისტორიული მიმოხილვა.....14
თავი 2. ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები.....15
2.1 ზოგადი დებულებები.....15
2.2 ჩუქების ხელშეკრულების მხარეთა სამართალსუბიექტურობა.....18
2.3 ჩუქების საგანი.....21
2.4 მჩუქებლის ნების ნამდვილობა.....23
თავი 3. მოჩვენებითი და თვალთმაქცური ჩუქება.....25
3.1 მოჩვენებითი ჩუქება.....26
3.2 თვალთმაქცური ჩუქება.....30
თავი 4. ჩუქების გაუქმების საფუძვლები.....33
4.1 ზოგადი დებულებები.....33
4.2 ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო.....36
4.3 მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების გამოთხოვა.....54
4.4. გაჩუქებული ქონების გამოთხოვა დასაჩუქრებულის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნის გამო.....58
თავი 5. მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადა.....62
5.1. დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობა.....62
5.2 დასაჩუქრებულის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნის გამო ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობა.....65
თავი 6. ჩუქების გაუქმებასთან დაკავშირებული საპროცესო სამართლებრივი პრობლემები.....67
შედეგები და მათი განსჯა 72
დასკვნა 73
გამოყენებული ლიტერატურა 75

შესავალი

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს კერძო სამართლის ისეთ ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს, როგორიცაა მხარეთა კერძო ავტონომია, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველი ხდება. უპირველესად, ეს გამოიხატება ხელშეკრულების თავისუფლებით, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) 319-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩუქების ხელშეკრულებას. იგი განკარგვითი ხასიათისაა და შედეგად შემძენისათვის საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს.[1]

კვლევის საგანს წარმოადგენს არა ზოგადად ჩუქების ხელშეკრულება, არამედ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 529-ე (ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო) და სსკ-ის 530-ე (გაჩუქებული ქონების გამოთხოვა) მუხლებით. ნაშრომში გაანალიზებული იქნება ჩუქების გაუქმების ისეთი სამართლებრივი საფუძვლები და აქტუალური საკითხები, როგორიცაა დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავების მიმართ გამოვლენილი მძიმე შეურაცხყოფა ან დიდი უმადურობა, აგრეთვე ჩუქების შემდეგ მჩუქებლის ისეთ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნა, როდესაც მას აღარ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. გაანალიზებული იქნება აგრეთვე ჩუქების გაუქმების სამართლებრივი შედეგებიც.

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-221-213-2012. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

აღნიშნული საკითხის მეცნიერულ დამუშავებას არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან ნაშრომში დამუშვებული ის პრობლემები, რომელიც ქართულ სამართალში ჩუქებას, როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის სახელშეკრულებო ინსტიტუტს ახასიათებს, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ჯერჯერობით არასრულყოფილად გვხვდება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში ძირითადი ყურადღება დაეთმობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზს, ქართულ სამეცნიერო ნაშრომებს, აგრეთვე უცხოურ ლიტერატურასა და სხვადასხვა ელექტრონულ საშუალებებზე დაყრდნობით მოძიებულ ინფორმაციას, საკვლევ თემასთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ მიმართულებებს ასპექტებს, რაც ვფიქრობ საინტერესო საფუძველს ქმნის მოცემული ნაშრომის დასამუშავებლად.

საკითხის კვლევა შესრულებული იქნება როგორც შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, აგრეთვე საქართველოს საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე.

კვლევის მეთოდებათ გამოყენებული იქნება ისტორიული, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

ნაშრომი შედგება, შესავლის, 6 თავისა და 15 ქვეთავისაგან.

პირველ თავში წარმოდგენილია ჩუქების ხელშეკრულების წარმოშობისა და განვითარების საფუძვლები, მეორე თავში წარმოდგენილია ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები, მესამე თავი ეთმობა მოჩვენებით და თვალთმაქცურ ჩუქებას, მეოთხე თავში წარმოდგენილია ჩუქების გაუქმების საფუძვლები, მეხუთე თავი ეთმობა მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების გამოთხოვის განდაზმულობის ვადას, მეექვსე თავი ეთმობა ჩუქების გაუქმებასთან დაკავშირებული საპროცესო სამართლებრივ პრობლემებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ქართული სამეცნიერო ნაშრომები ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნაშრომები შეიცავს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ მიმართულებებს ასპექტებს, რაც ვფიქრობ საინტერესო საფუძველს ქმნის მოცემული ნაშრომის დასამუშავებლად.

ამასთანავე მოყვანილი იქნება თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში დამუშვებული ის პრობლემები, რომელიც ქართულ სამართალში ჩუქებას, როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის სახელშეკრულებო ინსტიტუს ახასიათებს, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ჯერჯერობით არასრულყოფილად გვხვდება, შესაბამისად ნაშრომი ძირითადი ყურადღება დაეთმობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზს, აგრეთვე უცხოურ ლიტერატურასა და სხვადასხვა ელექტრონულ საშუალებებზე დაყრდნობით მოძიებულ ინფორმაციას.

ნაშრომში გაანალიზებული იქნება ჩუქების გაუქმების ისეთი სამართლებრივი საფუძვლები, როგორიცაა დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავების მიმართ გამოვლენილი მძიმე შეურაცხყოფა ან დიდი უმადურობა, აგრეთვე ჩუქების შემდეგ მჩუქებლის ისეთ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნა, როდესაც მას აღარ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. გაანალიზებული იქნება აგრეთვე ჩუქების გაუქმების სამართლებრივი შედეგებიც.

თავი 1. ჩუქების ხელშეკრულების წარმოშობა და განვითარება

1.1. ჩუქების ხელშეკრულება რომის სამართალში

საქართველო ისტორიულად ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდა ბერძნულ-რომაული სამყაროს ორბიტაში. ამ გარემოების შედეგია ის, რომ საქართველოში თავის დროზე მოხდა ბერძნულ-რომაული სამართლის ზომიერი რეცეპცია. პირველ რიგში ეს ეხება სირიულ-რომაულ სამართალს.[2] რომის სამართლის გავლენის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული „სამართალი ბერძნული“.[3] რომის სამართალში ჩუქების ხელშეკრულება (Pactum donationis) არაფორმალურ შეთანხმებას წარმოადგენდა, რომლითაც ერთი მხარე, გამჩუქებელი, გადასცემდა მეორე მხარეს, დასაჩუქრებულს, საკუთარი ქონებიდან რაიმე ფასეულობას იმ მიზნით, რათა გულუხვობა გამოეჩინა დასაჩუქრებულის მიმართ (animus donandi).[4] პაპინიანუსის აზრით, საჩუქარი, ეს არის ის, რაც გადაიცემა იურიდიული ვალდებულების გარეშე.[5] ჩუქება შეიძლება მომხდარიყო სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით: ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის საშუალებით, უშუალოდ, ფულადი თანხის გადახდით, სერვიტუტის გადაცემის გზით და ა.შ. ჩუქების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენდა ჩუქების

---

[2] ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბილისი: საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, გვ. 126. ინფორმაციის წყარო: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/187881/1/EvropuliKerdzoSamartlisRecepciaSaqartveloshi.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[3] მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009, გვ. 20. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e1839be18394e183a2e183a0e18394e18395e18394e1839ae18398-e183a0e1839de1839be18398e183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e18390.pdf?fbclid=IwAR3fW5ZDfEAYQDPKicKtZihDDXs9wFjaYTwpp35RPLmCkFAWWOnDy9xuU34 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[4] Новицкий И.Б., Перетерский И.С. (ред.), Римское частное право. Москва: Юриспруденция, 1999, 150. Императорские pacta (pacta legitima). ინფორმაციის წყარო: http://lib.maupfib.kg/wp-content/uploads/novizkiy.pdf?fbclid=IwAR0U6n_NXvM6ir-abhpiGXXtlcLvpbKEOGtbIyTu7IVUQZO2vF11yB1u8kU (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[5] Dauti A., Contract for Donation in the Roman Law and its Development in the Positive Law in Kosovo. Acta Universitatis Danubius. Juridica, Vol 15, No 3 (2019), გვ. 15. ინფორმაციის წყარო: http://journals.univ-danubius.ro/index.php/juridica/article/view/5629/5178 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ხელშეკრულების დაპირება.[6] რომში ზოგიერთი კანონი ჩუქების აკრძალვის შემთხვევებსაც ითვალისწინებდა. Lex Cincia de donis et muneribus (ქრ. შ.-მდე 204 წელი) იურისტებს უკრძალავდა საჩუქრის სხვა პირებისათვის გადაცემას. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვება შეიძლებოდა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, ისიც პირთა ისეთი შეზღუდული წრის მიმართ, როგორიცაა გამჩუქებლის ნათესავები. თუკი საჩუქრის ჩუქება მოხდებოდა Lex Cincia -ს წესების დაცვით, ასეთი საჩუქრის გამოთხოვა შესაძლებელი ხდებოდა გამჩუქებლის სიცოცხლის პერიოდში. Lex Calpurnia, უკრძალავდა მაგისტრატებს, პროვინციების მოქალაქეებისგან საჩუქრების მიღებას, გარდა ამისა, ორაციო ანტონინის ცნობების მიხედვით, ასევე იკრძალებოდა ჩუქების ხელშეკრულების დადება მეუღლეებს შორის.[7] იმპერატორის ეპოქაში, ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, სავალდებულო გახდა ნაჩუქრობის აქტების სასამართლო ინსინუაცია, ანუ მათი აუცილებლად შეტანა სასამართლო ოქმებში და ჩუქების ოდენობის გამოაშკარავება. თავდაპირველად ჩუქების საჯაროდ გამოაშკარავება ეხებოდა ყოველგვარ თანხას, როგორც დიდს, ისე მცირეს, მაგრამ იმპერატორმა იუსტინიანემ შეზღუდა ეს მოთხოვნა და დაადგინა, რომ ნაჩუქრობა 500 ოქროს ზევით გაფორმებული უნდა ყოფილიყო დოკუმენტურად, ანუ უნდა შეეტანათ სასამართლო რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სასარჩელო დაცვას არ ექვემდებარებოდა.[8] შეთანხმება იმ ნივთების სამომავლო ჩუქების

---

[6] Новицкий И.Б., Перетерский И.С. (ред.), Римское частное право. Москва: Юриспруденция, 1999, გვ. 150. Императорские pacta (pacta legitima). ინფორმაციის წყარო: http://lib.maupfib.kg/wp-content/uploads/novizkiy.pdf?fbclid=IwAR0U6n_NXvM6ir-abhpiGXXtlcLvpbKEOGtbIyTu7IVUQZO2vF11yB1u8kU (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[7] Dauti A., Contract for Donation in the Roman Law and its Development in the Positive Law in Kosovo. Acta Universitatis Danubius. Juridica, Vol 15, No 3 (2019), გვ. 16. ინფორმაციის წყარო: http://journals.univ-danubius.ro/index.php/juridica/article/view/5629/5178 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[8] მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009, გვ. 91. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e1839be18394e183a2e183a0e18394e18395e18394e1839ae18398-e183a0e1839de1839be18398e183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e18390.pdf?fbclid=IwAR3fW5ZDfEAYQDPKicKtZihDDXs9wFjaYTwpp35RPLmCkFAWWOnDy9xuU34 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

შესახებ, რომელთა საერთო ღირებულება 500 სოლიდზე ნაკლებს შეადგენდა (ოქროს მონეტები) და იუსტინიანეს კანონმდებლობა, ნივთის გადაცემის შესახებ მოთხოვნის უშუალო საფუძველს წარმოადგენდა.[9] რომის სამართალი მთლიანად იზიარებდა ჩუქების უსასყიდლო ხასიათს, რამაც განაპირობა სპეციალური ნორმების შემოღება. ეს ნორმები განსაზღვრავდა გამჩუქებლის პასუხისმგებლობას. რომის სამართალში გამჩუქებელს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა გაჩუქებული ქონების ნივთობრივი თუ უფლებრივი ნაკლისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით (dolus, cupla, lata).[10]

1.2. ჩუქების ხელშეკრულება ძველ ქართულ სამართალში

ნაჩუქრობის შესახებ არსებული ქართული სამართლებრივი ტერმინები რომაული donatio-ს შესატყვისია. ჩუქების უძველესი ქართული ტერმინები იყო „მიცემა“ და „ნიჭი“. „მიცემა“, „მისაცემელი“ და ნიჭი თანაბარმნიშვნელოვანი ტერმინებია. ძველ ქართულ წყაროებში ჩუქების მნიშვნელობით გვხვდება „მინიჭება“, „მონიჭება“, „განიჭება“. ტერმინი მომნიჭებელი კი მბოძებელს, ანუ საჩუქრის მიმცემს ნიშნავდა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ტერმინი „ნიჭი“ არ გვხვდება, მაგრამ გვხვდება „სანიჭარი“.[11] ნაჩუქრობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო ასევე „ძღვენი“.[12] ნაჩუქრობა, როგორც გარიგების სახე, უსასყიდლო ხელშეკრულებას წარმაოდგენდა, რომლის ძალითაც ერთი მხარე - მჩუქებელი უშუალოდ გადასცემდა საკუთრებას ქონებას

---

[9] გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები. თბილისი, 2010, გვ. 244. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/xoferia-garishvili-romi.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[10] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 18.

[11] მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003, გვ. 336. ინფორმაციის წყარო : file:///C:/Users/7/Downloads/metreveli%20(1).pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[12] იქვე, გვ. 336;

მეორე მხარეს. გარდა ქონების გადაცემისა, შეიძლებოდა ვალის პატიება და ამ გზით ჩუქების აქტის გამოხატვა ან რაიმე სანივთო უფლებაზე უარის თქმა მოვალის სასარგებლოდ.[13] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სხვადასხვა მუხლებიდან ჩანს, რომ ჩუქებისას გადამწყვეტი იყო ნივთის გადაცემა და მიღება მეორე მხარის მიერ. თუ საჩუქრის მიმღებმა (ნივთი) საჩუქარი ვერ მიიღო, ნაჩუქრობა არ ითვლებოდა შემდგარად. სამაგიეროდ, საჩუქრის მიღებიდან ხელშეკრულება ძალაში შესულად ითვლებოდა.[14] ნაჩუქრობის ხელშეკრულება იდებოდა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. ამას ეწოდებოდა საჩუქრის წიგნით (წერილობით) ან უწიგნოდ (ზეპირი) მიცემა. ბერძნული სამართლის ქართული ვერსია იცნობს საჩუქრის მიცემას მოწმის თანდასწრებით, რაც ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში. წერილობით ფორმდებოდა ისეთი ჩუქება, რომელიც მნიშვნელოვანი ღირებულებისა იყო. არსებობდა ე.წ. „საჩუქრის წიგნი“, რომელშიც დეტალურად ფიქსირდებოდა საჩუქრები.[15] ჩუქება ნებაყოფლობითი ხასიათის გარიგება იყო. მაგრამ საქართველოში ზოგიერთმა ჩუქების სახემ მიიღო სავალდებულო ხასიათი და ნებაყოფლობითი ჩუქება ვალდებულებად გადაიქცა. მაგალითად, მებატონისათვის ძღვენის მირთმევა, საქორწინო საჩუქარი, ლაშქარში წამსვლელისათვის „შთასადებელი“. „საჭირისუფალო შესაწევარი“ და სხვ.[16] ასევე, ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, ცოლისა და ქმრის ქონებრივი დამოკიდებულება იწყება სანიჭარით, რომელიც განსაკუთრებული საჩუქარია.[17] თუ ვინმე სანიჭარს ნებით არ გაიღებდა, სამართლით მაინც გადაახდევინებდნენ.[18]

---

[13] იქვე, გვ. 337.
[14] იქვე, გვ. 338.
[15] იქვე, გვ. 338-339.
[16] მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003, გვ. 337. ინფორმაციის წყარო : file:///C:/Users/7/Downloads/metreveli%20(1).pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
[17] ურბნელისა ნ., ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი. ტფილისი: სტამბა - ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეტაევისა, 1890, გვ. 42. ინფორმაციის წყარო:

1.3 ჩუქების გაუქმების ისტორიული მიმოხილვა

მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა.[19] ნაჩუქრობა არის სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის გამოვლინება. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ უკავშირდება დასაჩუქრებულის მხრიდან, მართალია არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას.[20] ძველ ქართულ სამართალში, ვინაიდან ნაჩუქრობის გარიგება უსასყიდლო ხელშეკრულება იყო, სწორედ უსასყიდლობა განაპირობებდა, გამორიცხავდა დავას, გასაჩუქებელი ნივთის ხარისხზე ან ამ ნივთის უკან გამოთხოვაზე. თუ ნაჩუქრობას საფუძვლად ედო რაიმე მოქმედების შესრულება, მოქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში საჩუქრის გამცემს შეეძლო ნაჩუქრობის მოშლა და საჩუქარი მჩუქებელს დაუბრუნდებოდა. ხელშეკრულება არ მოიშლებოდა მისი შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში.[21] ასევე, ქართული კანონმდებლობა (ბექას სამართალი, მუხლი 61-ე) იცნობს „სამოყვროდ“ ჩუქებას, მაგრამ თუ მოყვრობა არ შედგებოდა, საჩუქარი მჩუქებელს უბრუნდებოდა. საინტერესოა, რომ მჩუქებლის გაღარიბების შემთხვევაში მას საჩუქრის უკან გამორთმევა აღარ შეეძლო.[22] ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, საჩუქრის გამორთმევა შეიძლებოდა, უკეთუ

---

http://www.library.court.ge/upload/atabagni_beqa_da_aghbugha_da_maTi_samartali.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[18]იქვე. გვ. 42.

[19] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 465.

[20] იქვე, გვ. 465.

[21] მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003, გვ. 338. ინფორმაციის წყარო : file:///C:/Users/7/Downloads/metreveli%20(1).pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[22] იქვე, გვ. 338;

დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებდა თავის მწყალობელს.[23] აღსანიშნავია ისიც, რომ რომში იუსტინიანეს მიერ დადგენილი იყო საყოველთაო წესი ჩუქების ყველა შემთხვევასთან მიმართებით, რომ დასაჩუქრებულის უმადურობა წარმოადგენდა ჩუქების გაუქმების საფუძველს.[24] რომის სამართალი ასევე განსაზღვრავდა უმადურობის ისეთ მაგლითებს, როგორიცაა მძიმე შეურაცყოფა (iniuriae atroces), მჩუქებლის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა, მჩუქებლისათვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მიყენება.[25]

თავი 2. ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები

2.1. ზოგადი დებულებები

სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.[26] კანონში გაწერილია სიტყვა „მხარეები", რაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში არანაკლებ ორი მხარის/პირის მონაწილეობას გულისხმობს.[27] რაც შეეხება არსებით პირობებს, პირობის არსებით ხასიათს კანონი ორი ძირითადი კრიტერიუმიდან ერთ-ერთის არსებობას უკავშირებს: ან მხარეები უნდა ითხოვდენენ რაიმე კონკრეტულ პირობაზე შეთანხმებას, რაც მას

---

[23] ურბნელისა ნ., ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი. ტფილისი: სტამბა - ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეტაევისა, 1890, გვ. 60. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/atabagni_beqa_da_aghbugha_da_maTi_samartali.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[24] Новицкий И.Б., Перетерский И.С. (ред.), Римское частное право. Москва: Юриспруденция, 1999, 150. Императорские pacta (pacta legitima). ინფორმაციის წყარო: http://lib.maupfib.kg/wp-content/uploads/novizkiy.pdf?fbclid=IwAR0U6n_NXvM6ir-abhpiGXXtlcLvpbKEOGtbIyTu7IVUQZO2vF11yB1u8kU (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[25] იქვე;

[26] საქართველოს სამოქლაქო კოდექსი, მუხლი 327. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[27] ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017, გვ. 76. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/giz2017-ge-xelshekrulebis_tavisufleba.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

არსებითად აქცევს, ან კანონი უნდა მიუთითებდეს იმპერატიულად, რომ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კონკრეტული პირობის შესახებ შეთანხმება სავალდებულოდ ითვლება.[28] კონსენსუსის მიღწევისა და შესაბამისად, ხელშეკრულების დადების ძირითადი საშუალება, როგორც წესი, ოფერტი და აქცეპტია.[29] შესაბამისად, კონსენსუსის მიღწევის იურიდიული საშუალების - ოფერტისა და აქცეპტის გარეშე ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება.[30] ჩუქება, როგორც ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება, უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების ნამდვილობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.[31] უფლება-მოვალეობათა მიხედვით წარმოადგენს ცალმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებას, მისი მონაწილე აუცილებლად ორი მხარე მაინც უნდა იყოს.[32] ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამიზნული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსენსუსს.[33] ჩუქების ხელშეკრულება ნამდვილია მხოლოდ მჩუქებლისა და დასაჩუქრებულის თანხმობის შემთხვევაში.[34] აღნიშნულისგან განსხვავებით, ინგლისში

---

[28] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014, გვ. 52. ინფომრაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/Contract_Law_Textbook_GEO.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[29] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 36.

[30] ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017, გვ. 75. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/giz2017-ge-xelshekrulebis_tavisufleba.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[31] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 36.

[32] ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017, გვ. 77. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/giz2017-ge-xelshekrulebis_tavisufleba.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[33] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 37.

[34] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014, გვ. 101. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/Contract_Law_Textbook_GEO.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ჩუქების დამადასტურებელი აქტი, ლიბერალური დოკუმენტი (ნამდვილი - საპასუხო შესრულების გარეშე - მისი საჯაროობის გამო), აქცეპტის საჭიროების გარეშე მოქმედებს.[35] საინტერესოა, ისიც რომ ინგლისში ჩუქება არ ითვლება ხელშეკრულებად, საფრანგეთში კი შეწირულობა ხელშეკრულებაა.[36] ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად ასევე წერილობით. კონკრეტული ფორმა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. ჩვეულებრივ, მოძრავი ნივთის ჩუქება ხდება ზეპირი ფორმით, ხოლო უძრავისა - წერილობით. ჩუქების ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრის ზოგად საფუძვლად კანონის მიერ აღიარებულია კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესი.[37] აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ს 525-ე მუხლის მესამე ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს საჩუქრის დაპირების წერილობითი ფორმით დადებას.[38] ჩუქება ქონების უსასყიდლოდ გადაცემას გულისხმობს.[39] ჩუქების ხელშეკრულებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო. იურიდიული თვალსაზრისით კი, უსასყიდლობა იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტურობის მატარებელი და იგი მისი ძირითადი

---

[35] საკო რ., ხელშეკრულების დადება. ჟ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 2011-2012, გვ. 6. ინფორმაციის წყარო: https://newvision.ge/sites/default/files/xelshekrulebis_dadeba.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[36] იქვე, გვ. 1.

[37] ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I. თბილისი : გამომცემლობა სამართალი, 2001, გვ. 69. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[38] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 525. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის გადაწვეტილება საქმეზე NN/2/155 . ინფორმაციის წყარო: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=148 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

მაკვალიფიცირებელი წინაპირობაა.[40] ნაჩუქრობა არის სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის გამოვლინება. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ უკავშირდება დასაჩუქრებულის მხრიდან, მართალია, არა სამგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს.[41] ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქერებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან.[42] შემდგარი ხელშეკრულება სახეზე გვექნება მხოლოდ მაშინ, თუ დასაჩუქრებული ნაჩუქარი ქონების მიღებას დაადასტურებს.[43]

2.2. ჩუქების ხელშეკრულების მხარეთა სამართალსუბიექტურობა

ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებაში, სრული მოცულობით მოქმედებს 319 I-ლი ნაწილით განსაზღვრული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, კერძოდ: „კერძო სამართლის სუბიქტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით პირდაპირ

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-127-119-2015. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[41] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1333-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[42] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-33-33-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[43] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014, გვ. 53. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/Contract_Law_Textbook_GEO.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.“ სახელშეკრულებო თავისუფლების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გაგება შეესაბამება ევროპული ვალდებულებითი სამართლის უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის პროცესს.[44] ხელშეკრულების თავისუფლების ცნება, თავის მხრივ, მოიცავს ორ ძირითად პრინციპს: ხელშეკრულების დადებისა და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებას.[45] ჩუქების ხელშეკრულების მხარეები არიან მჩუქებელი და დასაჩუქრებული. მჩუქებელს აქვს მხოლოდ ნაჩუქარი ნივთის დასაჩუქრებულისათვის გადაცემის ვალდებულება, ისე რომ არ გააჩნია ამის სანაცვლოდ მჩუქებლისგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედების შესრულებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, დასაჩუქრებულს აქვს ჩუქების საგნის მისთვის გადაცემის მოთხოვნის უფლება ისე, რომ არ გააჩნია მჩუქებლის მიმართ რაიმე სახის ვალდებულება.[46] ჩუქების ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ისინი აღჭურვილი უნდა იყვნენ სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით. მაგალითად, არასრულწლოვანს ან შეზღუდულ ქმედუნარიან პირს არ შეუძლია გააჩუქოს ქონება, ანდა მიიღოს საჩუქარი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, რადგან შესაძლებელია ჩუქება მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ შინაარსს შეიცავდეს

---

[44] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 37-38.

[45] ამირანაშვილი გ., გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 50. ინფორმაციის წყარო: http://openlibrary.ge/bitstream/123456789/8653/1/Compulsion%20to%20Form%20of%20Transaction%20as%20a%20Limitation%20of%20Freedom%20of%20Form.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[46] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014, გვ. 98-99. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/Contract_Law_Textbook_GEO.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

(მაგალითად, დაგირავებული ნივთის ჩუქება). შესაბამისად დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 13, 63, 65, მუხლების მოთხოვნები სარგებლისა და არასრულწლოვანის ემანსიპაციასთან მიმართებით. კანონმდებლობა ზოგადად კრძალავს სამეურვეო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადებას, კერძოდ სსკ-ის 1296-ე მუხლის თანახმად, „სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება“. ეს აკრძალვა წარმოადგენს სამეურნეო (სამზრუნველო) პირის ქონებრივი ინტერესების დაცვის გარანტიას.[47] ჩუქების ხელშეკრულებაში მონაწილე მხარე ასევე შეიძლება იყოს სახელმწიფოც, კერძოდ სახელმწიფო შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც მჩუქებელს ასევე დასაჩუქრებულს. როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაჰენტის ქცევა/ქმედება რამდენად შეესაბამება სსლ-ის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ სპეციფიკურ დანაწესს, როგორიცაა ზნეობის ნორმები. ასეთ ვითარებაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამდენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ ღებულობს გარკვეულ მომსახურებას, ქონებას საკუთრებაში და ა.შ. ანუ პრაქტიკულად რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება, უსასყიდლოდ მოემსახუროს“.[48] რიგ შემთხვევაში, ჩუქების ხელშეკრულების ბედის განსაზღვრა შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩუქების ხელშეკრულების მხარის პროფესიულ საქმიანობაზე. კერძოდ, „საჯარო დაწესებულებაში

[47] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 38-39.
[48] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1230-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 5^2 -ე მუხლის მიხედვით, თუ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კანონით დასაშვებ მოთხოვნებს ან/და გარკვეული მიზეზებით (ფოსტით მიღებული საჩუქარი, საჯაროდ გადაცემული საჩუქარი) შეუძლებელი იყო საჩუქრის მიღებაზე უარის თქმა, მაშინ ის ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს მიღებული საჩუქრის დასახელება, შეფასებითი ან ზუსტი ღირებულება/ოდენობა, მიუთითოს მჩუქებლის ვინაობა, ხოლო აკრძალული საჩუქარი სამი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო სააგენტოს.[49]

2.3 ჩუქების საგანი

ჩუქების საგანი შეიძლება მრავალგვარი იყოს. უპირველეს ყოვლისა, აქ ბრუნვაში არსებული ნივთები იგულისხმება. ის ნივთები, რომელთა ბრუნვა შეზღუდულია, შეიძლება საჩუქრად იქნეს გადაცემული ასეთი ნივთის სამართლებრივი რეჟიმისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა გათვალისწინებით.[50] ჩუქების ობიექტი შეიძლება იყოს ცალკეული უფლებებიც. ისეთ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების საგანი უფლებაა, ჩვეულებრივ, ხდება მისი დათმობა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვალდებულებით ურთიერთობებში როცა კრედიტორის შეცვლა ხდება, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კრედიტორის მოთხოვნის უფლების სხვისთვის გადაცემის აკრძალვა. ასეთ შემთხვევაში მოვალის ნებართვის გარეშე დასაჩუქრებულზე მოთხოვნის უფლების

---

[49] საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 5^2. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=72 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[50] ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I. თბილისი : გამომცემლობა სამართალი, 2001, გვ. 68. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

გადაცემა შეიძლება ჩუქების ხელშეკრულების გაბათილების საფუძველი გახდეს სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილისა და სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად.[51] მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ვალდებულებით ურთიერთობებში, როცა კრედიტორის შეცვლა ხდება, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კრედიტორის მოთხოვნის უფლების სხვისთვის გადაცემის აკრძალვა. ასეთ შემთხვევაში მოვალის ნებართვის გარეშე დასაჩუქრებულზე მოთხოვნის უფლების გადაცემა შეიძლება ჩუქების ხელშეკრულების გაბათილების საფუძველი გახდეს. როცა ჩუქების ობიექტი მოთხოვნის უფლებაა, ყველა შემთხვევაში მოვალე გაფრთხილებულ უნდა იქნეს ამის თაობაზე. ამ ვალდებულების დარღვევის რისკი დასაჩუქრებულზე უნდა გადავიდეს. ჩუქების ობიექტად არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი პირადი ხასიათის უფლება. მაგალითად, ალიმენტის მიღების უფლება, ავტორობა, მემკვიდრედ ყოფნის უფლება და სხვ.[52] მოთხოვნის უფლების დათმობა მესამე პირისაგან ქონებრივი დაკმაყოფილების მიღების შესაძლებლობას ქმნის დასაჩუქრებულისათვის. ამასთან, შესაძლებელია ჩუქების ობიექტად ისეთი უფლებების ჩათვლა, რომელიც თვით მჩუქებელთანაა დაკავშირებული, მაგალითად, მესამე პირის წინაშე არსებული ვალის გადახდა შეიძლება მჩუქებელმა თავის თავზე აიღოს. უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია დასაჩუქრებულის კრედიტორის თანხმობა სსკ-ის 203-204-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. ისეთ ურთიერთობებში, რომლებშიც დასაჩუქრებული მოვალედ გამოდის, მჩუქებელს უფლება აქვს დასაჩუქრებული გაათავისუფლოს მის წინაშე წარმოშობილი ქონებრივი ვალდებულებისაგან (ვალის პატიება). ამ დროს დაცული უნდა იქნეს სსკ-ის

[51] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 95-96.

[52] ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I. თბილისი : გამომცემლობა სამართალი, 2001, გვ. 68-69. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

448- 451-ე მუხლების დანაწესები.[53] საინტერესოა ისიც, რომ აშშ-ში დონორისათვის ადამიანის ორგანოს უსასყიდლო გადაცემის აქტი, ჩუქების ხელშეკრულებად მიიჩნევა, ამ დროს ჩუქების საგანს ადამიანის ორგანო წარმოადგენს, თუმცა ასეთი ტიპის ჩუქების ხელშეკრულება სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების წესს ითვალისწინებს.[54]

2.4 მჩუქებლის ნების ნამდვილობა

ჩუქება ისეთი გარიგებაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა ურთიერთთანხმობას და არა მხოლოდ მჩუქებლის ნებას. დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქება არ ჩაითვლება ძალაში შესულად, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა. თითოეული ადამიანი თავისი სამართლებრივი სივრცის გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება. ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამიზნული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსენსუსს.[55] საკასაციო სასამართომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ორი ძირითადი კრიტერიუმი: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და გამჩუქებლის მატერიალური მდგომარეობა.[56] საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ საჩუქრად მიღებული ნივთის საკუთრების ფორმის (ინდივიდუალური თუ საერთო) განსაზღვრისათვის, არსებითი მნიშვნელობისაა, დადგინდეს

[53] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 96.

[54] Alexanda K. Glazier, Organ Donation and the Principles of Gift Law. Clinical Journal of the American Society of Nephrology. August 2018, Vol. 13, No. 8, გვ. 1283-1284. ინფორმაციის წყარო: https://cjasn.asnjournals.org/content/clinjasn/13/8/1283.full.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[55] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-127-119-2015. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[56] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-497-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

მჩუქებლის ნება. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მამის ნება მოპასუხის ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისაკენ იყო მიმართული და ოჯახის საერთო მიზნებს ემსახურებოდა, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ სადავო უძრავ ქონებაში მოპასუხე თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად ცხოვრობდა. კასატორი თავად ადასტურებს, რომ სადავო სახლის ადგილმდებარეობა მოსარჩელის სურვილით შეირჩა, დედის სახლთან ახლოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო საცხოვრებელი სახლი, რომელიც კასატორმა, ქორწინების განმავლობაში, მამის ნაჩუქარი ფულით შეიძინა, მთლიანი ოჯახისათვის იყო განკუთვნილი და როგორც საჩუქარი, მოკლებული იყო ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს.[57] ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობის დასადგენად, მნიშვნელოვანია აგრეთვე, ხელშეკრულების გაფორმებამდე, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, რაც როგორც წესი, განაპირობებს მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების მოტივის ჩამოყალიბებას. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული.[58] ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარებითაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ჩუქების მოტივი ძირითადად გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან, ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული.[59] ნებისმიერ

---

[57] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-963-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[58] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-497-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[59] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-683-683-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამგვარი ურთიერთობები კი, როგორც წესი, გარკვეული დროის განმავლობაში ყალიბდება და საფუძვლად უდევს მხარეთა შორის არსებული მადლიერება, კეთილგანწყობა, ან დამკვიდრებული ჩვეულებებით დადგენილი ერთგვარი მორალური ვალდებულება.[60] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოტივში შეცდომა არაარსებითი შეცდომის სახეა და იგი არ იძლევა შეცილების საფუძველს.[61] იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ მოტივი შეთანხმების საგანი ხდება, იგი ხელშეკრულების არსებით პირობად იქცევა და უკვე ვეღარ ჩაითვლება მოტივად.[62] მოტივში დაშვებული შეცდომა არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს 73 „გ“ მუხლის შემადგენლობასთან, რომელიც ეხება მხარეთა ერთობლივ არასწორ წარმოდგენას. მოტივში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ერთი მხარის არასწორი წარმოდგენა.[63]

თავი 3. მოჩვენებითი და თვალთმაქცური ჩუქება

ნების ნაკლის საფუძველზე დადებული გარიგებების გავრცელებულ შემთხვევებს წარმაოდგენს მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები, რომელთაც 56-ე მუხლი ითვალისწინებს.[64] ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონის დანაწესებს მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებებთან მიმართებით.[65] საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების ფაქტობრივ

---

[60] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-497-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[61] დარჯანია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 76. გვ. 444 ინფორმაციის წყარო: http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[62] იქვე, გვ. 444;

[63] იქვე, გვ. 444;

[64] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, 2011, გვ. 361.

[65] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 120.

შემადგენლობას განსაზღვრავს სსკ-ის 56-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).[66] მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებების დადების დროს მხარეთა მიერ ირღვევა კეთილსინდისიერების პრინციპი, კეთილსინდისიერება გამოხატავს სამოქალაქო ბრუნვაში, ე.ი. უფლებათა შეძენის, განხორციელების, დაცვის, ასევე ვალდებულებათა შესრულებისას, - სამართლის სუბიექტის ზნეობრივად მოქმედების შესახებ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს. ყოველი პირი უფლების განხორციელებისა თუ ვალდებულების შესრულების დროს უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობას და სიმყარეს.[67]

3.1 მოჩვენებითი ჩუქება

მოჩვენებითი გარიგება (სიმულირებული გარიგება) სახეზეა, როდესაც გარიგების მონაწილეები ერთმანეთთან შეთანხმებით გარიგებას დებენ მხოლოდ გარეგნული ჩვენებისთვის ისე, რომ მათ არ სურთ მასთან

---

[66] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1043-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[67] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1820-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების დადგომა (ბოჭვის ნების არარსებობა).[68] ე.ი. ახდენენ გარეგნულად გამოხატულის მიღწევის სიმულაციას. მოჩვენებით გარიგებას ორი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: პირველი, ის დადებულია მოსაჩვენებლად და, მეორე, მხარეებს არა აქვთ ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომის განზრახვა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს.[69] გარიგების მოჩვენებით ხასიათს განაპირობებს მხარეთა განზრახვა, გარიგების დადებით მიაღწიონ მიზანს, რომელიც არ შეესაბამება ამ გარიგების შინაარსიდან გამომდინარე, იურიდიულ შედეგს.[70] ამ კატეგორიის გარიგებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების მონაწილეები ურთიერთშეთანხმებით მიზნად ისახავენ მესამე პირთა შეყვანას შეცდომაში.[71] საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებით გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“.[72] ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი.[73] მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი, ისე სახელმწიფოც. სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან, (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს

---

[68] კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი. თბილისი, 2014 გვ. 39.

[69] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1470-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[70] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1043-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[71] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, 2011, გვ. 361.

[72] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-571-879-09. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[73] იქვე;

შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). სავალდებულო არ არის მოჩვენებითი გარიგების მიზანი ყოველთვის იყოს მესამე პირის მოტყუება. მოჩვენებით გარიგებად მიჩნევისათვის გადამწყვეტია ფაქტი, რომ მხარეებს არა აქვთ გარიგებაში მითითებული შედეგის დადგომის განზრახვა.[74] საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ თავის საქმეზე განამრტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსაჩვენებლად დადებული ხელშეკრულება მართლაც შეიძლება ბათილი იყოს, მაგრამ მოჩვენებითობის მოტივით ჩუქების ხელშეკრულების ბათილად მიჩნევისათვის აუცილებელია ამ ხელშეკრულების მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე დადების ფაქტის დადგენა. ანუ იმის დადგენა, რომ ჩუქების ხელშეკრულებას სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი.[75] სასამართლომ მიუთითა, რომ „როდესაც საკითხი ეხება ჩუქების ხელშეკრულებას, მისი მოჩვენებით გარიგებად შეფასებისათვის მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ორი ძირითადი კრიტერიუმი: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და გამჩუქებლის მატერიალური მდგომარეობა. ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს ამ კრიტერიუმების არსებობის შეფასების კუთხით, ხოლო დასახელებული კრიტერიუმების შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ანალოგიურ გარემოებებში გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტი.[76] ამ თვალსაზრისით, პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, რაც, როგორც წესი, განაპირობებს მჩუქებლის

---

[74] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1470-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[75] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-150-846-03. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[76] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 124.

მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების მოტივის ჩამოყალიბებას. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამიტომ, იგი შესაძლებელია სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული.[77] როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი, მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას.[78] ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „სამოქალაქო კოდექსის 170-172-ე მუხლების, 524-ე, 50-ე, 54-ე, 56-ე, 61-ე მუხლების შესაბამისად, მოჩვენებითი გარიგება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად ან დასაფარავად გამოიყენება იმ მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაექცეს. მოვალე ვითომ ყიდის ან ჩუქნის ქონებას. სინამდვილეში არავითარი ნასყიდობა ან ჩუქება არ ხდება. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი და გარიგების არცერთ მხარეს არ სურს ამ გარიგების შესრულება. ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადება განხორციელდა მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ პრეტენზია წაუყენა მოპასუხეს თანხის დაბრუნების თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადება მიმართული იყო კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილებისაგან თავის არიდებისაკენ. სადავო გარიგების მონაწილე სუბიექტების ნების გამოვლენის მოჩვენებით ხასიათზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ გაჩუქებულ საცხოვრებელ სახლს ფაქტობრივად ფლობს ისევ გამჩუქებელი. შესაბამისად, მოთხოვნა ჩუქების ხელშეკრულების

[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-750-718-2014. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[78] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-571-879-09. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ბათილობის თაობაზე დასაბუთებულია.[79] მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში ადგილი აქვს გარიგების მონაწილე მხარეთა განზრახ ქმედებას, რა დროსაც მათ არ სურთ სამართლებრივი შედეგის დადგომა და მისი დადების მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს მესამე პირის შეცდომაში შეყვანა.[80] ამდენად იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებითად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ ურთიერთშეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.[81]

3.2 თვალთმაქცური ჩუქება

მოჩვენებითი გარიგებისგან განსხვავებით, თვალთმაქცური გარიგება ნამდვილია. თუმცა ეს არ გამორიცხავს ამ გარიგების ბათილობას სხვა საფუძვლით, მაგალითად, ფორმის დაუცველობის (59 I) ან კანონსაწინააღმდეგობის (54) გამო.[82] არ შეიძლება გარიგება ერთდროულად მოჩვენებითიც იყოს და თვალთმაქცურიც, ვინაიდან მოჩვენებითი გარიგების დროს ნამდვილი გარიგება საერთოდ არ არსებობს და არარსებული გარიგებით სხვა გარიგების დაფარვა გამორიცხულია.[83] თვალთმაქცური გარიგებები მოჩვენებითი გარიგებების ნაირსახეობას წარმოადგენენ და განსხვავდებიან მათგან მხოლოდ იმით, რომ გარიგების მონაწილეებს მოსაჩვენებლად დადებული გარიგებებით სურთ სხვა

---

[79] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 123-124.

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1043-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[81] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1341-1379-2014 . ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[82] ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 56, გვ. 331. ინფორმაციის წყარო: http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[83] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1214-1156-2014. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

გარიგების დაფარვა, რომლის განხორციელებასაც ისინი რეალურად ისახავენ.[84] ფართო გაგებით თვალთმაქცური გარიგებაც წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას, მაგრამ მოჩვენებითი გარიგებისგან იმით განსხვავდება, რომ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა „წარმოიშობა“ არა დადებული გარიგების საფუძველზე, არამედ ფაქტობრივად მათ შორის არსებული „შეთანხმების“ საფუძველზე.[85] მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ ერთი მეორეს აჩუქებს საცხოვრებელ სახლს, თუკი დასაჩუქრებული იკისრებს ვალდებულებას სამისდღეშიოდ არჩინოს გამჩუქებელი. „განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება, რომ ხელშეკრულება სხვა მოტივებით -გამჩუქებლის რჩენის ვალდებულებით იყო განპირობებული და რომ მხარეთა ნება მიმართული იყო რეალურად სხვა, ორმხრივად სარგებლიანი შედეგების დადგომისაკენ, რაც გამჩუქებლისთვისაც გარკვეული მატერიალური სარგებლის მოტანას ისახავს მიზნად, ხოლო დასაჩუქრებულისათვის გარკვეულ ვალდებულებებს წარმოშობს. მშობლის რჩენის ვალდებულება მოსარჩელეს გააჩნდა არა ჩუქების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არამედ შრომისუუნარო მშობლის რჩენის კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარე, რაც ემიჯნება ჩუქების ურთიერთობიდან წარმოშობილ მოვალეობებს.[86] საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე - რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად,

---

[84] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, 2011, გვ. 362.

[85] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1214-1156-2014. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[86] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 145-146.

თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია.[87] დაფარული გარიგების ნამდვილობისთვის არ კმარა მხოლოდ მოჩვენებითი გარიგების ბათილობა. დაფარული გარიგება უნდა იყოს მართლზომიერი და ამ საფუძვლით ნამდვილი. მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთის ჩუქების ხელშეკრულებით მხარეებს სურთ ნასყიდობის დაფარვა, ნასყიდობის ხელშეკრულება არ იქნება ნამდვილი, თუკი ის არ არის 183-ე და 323-ე მუხლების შესაბამისად წერილობით გაფორმებული. ასეთ შემთხვევაში ჩუქება, როგორც მოჩვენებითი გარიგება, ბათილია, ნასყიდობაც ბათილია ფორმის დაუცველობის გამო. ამიტომ მხარეები ვერ იღებენ თვალთმაქცური გარიგებით გათვალისწინებულ მიზანს - შემძენი ვერ ხდება მესაკუთრე.[88] უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით გააკეთა განმარტება, რომ თვალთმაქცური გარიგებისას, ბათილობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომელიც შესაძლოა იყოს ბათილი ან არა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, იგი ბათილია. როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგება მხოლოდ მოსაჩვენებლადაა დადებული, არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში მხარეებს არ სურთ ამ გარიგებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა. ორივე შემთხვევაში სახეზეა სიმულაცია, მხოლოდ განსხვავებული მეთოდებით.[89] „სსკ-ის 56-ე მუხლზე მსჯელობისას პალატამ მიუთითა, რომ თუ მოჩვენებითი გარიგების დროს მისი ბათილობის საკითხი წყდება მხარეთა ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერება-არამართლზომიერებით, თვალთმაქცური გარიგებისას, გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ბათილი, ასევე

---

[87] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-361-361-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[88] ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 56, გვ. 331. ინფორმაციის წყარო: http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[89] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინება საქმეზე №ას-694-665-2016. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ნამდვილი. რა სახისაც არ უნდა იყოს დაფარული გარიგება, თვალთმაქცური გარიგება მაინც უნდა ჩაითვალოს ბათილად, ხოლო თუ დაფარული გარიგება ნამდვილია, მაშინ იგი დაიკავებს თვალთმაქცური გარიგების ადგილს."[90] თვალთმაქცური გარიგების დროს ნების გამოვლენის სუბიექტების ნება შეთანხმებულია და მათ განზრახული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა მათი შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. დადებული გარიგებით ისინი ფარავენ სხვა გარიგებას, რომლის დადების ნებაც რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში დგება ამ ნორმის საფუძველზე ნების გამოვლენის ბათილობის საკითხი.[91]

თავი 4. ჩუქების გაუქმების საფუძვლები

4.1 ზოგადი დებულებები

საქართველოს სამოქალაქო სამართალი, კონკრეტულად ჩუქების ხელშეკრულების დაუშვებლობისა და გაუქმების სხვადასხვა საფუძველს იცნობს. მაგალითად, სსკ-ს 526-ე მუხლის მიხედვით, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.[92] ამ მუხლის მსგავს ფორმულირებას იცნობს ასევე მაგ. ლუიზიანის შტატის სამოქალაქო კოდექსის Art. 1498-ე არტიკლი.[93] Donation omnium bonorum ეს არის ჩუქება inter vivos აკრძალული გარემოება, როდესაც ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი ხდება ის, რომ მჩუქებელი მთელ თავის ქონებას

---

[90] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი", 2018, გვ. 147.

[91] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1043-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[92] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 526-ე მუხლი. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=109 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[93] Art. 1498-ე არტიკლი. ინფორმაციის წყარო: https://lcco.law.lsu.edu/?uid=53&ver=en#53 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

გადასცემს საჩუქრის სახით სხვა პირს, ხოლო თავისთვს არაფერს იტოვებს.[94] ასევე, სსკ-ს 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.[95] აღნიშნულ მუხლთან მიმართებით, საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ მაგალითად, იტალიური სამართალი ქორწინებასთან დაკავშირებული საჩუქრების (donazioni obnuziali) უკან დაბრუნების შესაძლებლობას გამორიცხავს (CC art. 805), თუმცა ეს არ ეხება ნიშნობის საჩუქრებს.[96] აღსანიშნავია ისიც, რომ ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება სხვა საფუძვლითაც გაუქმდეს. მაგალითად, თუ მჩუქებელზე ადრე გარდაიცვალა დასაჩუქრებული, ხელშეკრულებით შეიძლება მჩუქებლისათვის ჩუქების გაუქმების უფლების მინიჭება.[97] გარდა ამისა, საინტერესოა ჩუქების გაუქმების სხვა ორი საფუძველი, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს და რომელთა განხილვაც მოცემული სამაგისრო ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს, ესენია სსკ-ს 529-ე მუხლით მოცემული „ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო“ და სსკ-ს 530-ე მუხლით გათავალისწინებული, გაჩუქებული ქონების გამოთხოვა, ჩუქების შემდეგ

---

[94] W. Rome G., Kinsella S., Luisiana Civil Law Dictionary. New Orleans, Louisiana: Quid Pro Books. 2011. D, Donation, Donation omnium bonorum. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=4lhscUogaLYC&pg=PT30&lpg=PT30&dq=meaning+of+donation+inter+vivos,+mortis+causa+and+omnium+bonorum&source=bl&ots=QDcOGsy30q&sig=ACfU3U2TRq1Yg_YlioBD0Caln7rLZxYSKA&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwiO7oOOkaLqAhXxRhUIHZkqAYsQ6AEwAHoECAkQAQ#v=onepage&q=meaning%20of%20donation%20inter%20vivos%2C%20mortis%20causa%20and%20omnium%20bonorum&f=false (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[95] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1109 მე-3 ნაწილი. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=109 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[96] Hyland R. GIFTS A STUDY IN COMPARATIVE Law. New York: Oxford University Press. 2009, გვ. 530. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=wa7mCwAAQBAJ&pg=PA524&dq=REVOKING+THE+DONATION+DUE+TO+GROSS+INGRATITUDE+OF+THE+DONEE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiE-bHJ7KnoAhUsSxUIHV4vBOoQ6AEIUDAE#v=onepage&q=REVOKING%20THE%20DONATION%20DUE%20TO%20GROSS%20INGRATITUDE%20OF%20THE%20DONEE&f=false (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[97] ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I. თბილისი : გამომცემლობა სამართალი, 2001, გვ. 77. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობის საფუძვლით.[98] ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა. „სამართალში და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში ყოველთვის აუცილებელია სამართალსა და ზნეობას შორის ფუნდამენტური ურთიერთობის გათვალისწინება. აუცილებელია იმ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს სამართლებრივ შეფასებასა და ზნეობრივ შეფასებას, სამართლებრივ ღირებულებასა და ზნეობრივ ღირებულებას შორის“.[99] აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც ეთიკურზნეობრივი იმპერატივებითაა დატვირთული მთელი ურთიერთობა, მისი წარმოშობიდან გაუქმების მოტივის ჩათვლით. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ ენასკვება დასაჩუქრებულის მხრიდან მართალია არასამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება კი არ შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების შეზღუდვად.[100] საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ჩუქების გაუქმება გამოწვეულია არა დასაჩუქრებულის უმადურობით, არამედ თვით მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. დასაჩუქრებულის ბრალი ამ დროს გამორიცხულია. მჩუქებელს ხელშეკრულების დადების დროს არავითარი მატერიალური ხასიათის პრობლემა არ აქვს. იგი ნებაყოფლობით გადასცემს სხვა პირს ქონებას საკუთრებაში. გაჩუქების შემდეგ თუკი მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, როცა არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე

[98] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 529 და მუხლი 530. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=109 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[99] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 465.

[100] ზოიძე თ., საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში (ავტორთა კოლექტივი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, 2017, გვ. 250. ინფორმაციის წყარო: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს სსკ-ის 530-ე მუხლის საფუძველზე დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება.[101]

4.2 ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

სსკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული.[102] ნაჩუქრობა, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობა, გარკვეულწილად ავალდებულებს დასაჩუქრებულს. ეს ვალდებულება სსკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული პირობის სახით კი არაა მოცემული, არამედ ზნეობრივ-სამართლებრივი ვალდებულების სახით არსებობს. ეს ვალდებულება მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისაგან თავის შეკავებაში მდგომარეობს და ვადით შეზღუდული არაა. ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში სასამართლო ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას.[103] სსკ-ის 529-ე I მუხლი ადგენს მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელ პირობებს, ნორმის შემადგენლობას: მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის მიერ ხორციელდება „მძიმე შეურაცხყოფის მიყენება“ ან „დიდი უმადურობის გამოჩენა“. აღნიშნული წინაპირობების არსებობისას მჩუქებელი სსკ-ის 529-ე II მუხლის საფუძველზე უფლებამოსილია, ნამდვილი და, შესაბამისად, უკვე მოქმედი ხელშეკრულება „გააუქმოს“ დასაჩუქრებულისათვის შესაბამისი შეტყობინებით. სსკ-ის 529-ე I მუხლით გათვალისწინებული

[101] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-744-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[102] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1050-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[103] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-744-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის აბ მისი ახლო ნათესავის მიმართ „მძიმე შეურაცხყოფის მიყენება“ ან „დიდი უმადურობის გამოჩენა“, როგორც ხელშეკრულების „გაუქმების“ საფუძვლები, ჩამოყალიბებულია ალტერნატიული წინაპირობების სახით.[104] საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ი არ განმარტავს, თუ რას მოიაზრებს უმადურობის ცნება ან ვინ არის მჩუქებლის ახლო ნათესავი. დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფა შეფასებითი კატეგორიაა. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც მჩუქებლის მიერ გარემოებების აღქმა, ე.წ. სუბიექტური თვალსაწიერი, ასევე, მოსამართლის მიერ იმის შეფასება, თუ როგორ აღიქვამდა ამ გარემოებებს იმავე პირობებში მყოფი სხვა ადამიანი. „მძიმე შეურაცხყოფა“ და „დიდი უმადურობა“, ანუ უმადურობად ქცევა, შეფასებითი კატეგორია, რასაც განსაზღვრავს სასამართლო გარემოებათა ურთიერთშეჯერების შედეგად.[105] სასამართლო პრაქტიკაში კი მიღებულია, რომ დასაჩუქრებულის უმადურობად ითვლება: ა) არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია მჩუქებლის, მისი ოჯახის წევრის ან აღმავალი და დაღმავალი ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივის, ღირსების, თავისუფლების ან საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ; ბ) განზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მჩუქებლისათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებას; გ) კანონით განსაზღვრულ მოვალეობაზე _ არჩინოს მჩუქებელი, უარის თქმა და სხვა.[106] სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია, რომ მოსარჩელის (მჩუქებლის) განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან

---

[104] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-744-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[105] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1333-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[106] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 468-469.

უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას გამჩუქებლის მიმართ ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა.[107] საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს ჩუქების გაუქმებას, თუკი ასეთი მჩუქებლის მიერ იქნება მოთხოვნილი, ანუ მჩუქებელი მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის ზნეობრივად გასაკიცხ ქმედებას იმდენად უნდა ითავსებდეს, რომ თვითონვე უნდა ხდიდეს სადავოდ მასა და დასაჩუქრებულს შორის არსებულ ვალდებულებით სამართლურთიერთობას.[108] კონტინენტური სამართლისგან განსხვავებით, საერთო სამართლის სისტემა უმადურობის საფუძვლით ჩუქების გაუმქების შესაძლებლობას არ ანიჭებს მჩუქებელს.[109] ინგლისის სამართალი

---

[107] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1333-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[108] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-744-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[109] Hyland R. GIFTS A STUDY IN COMPARATIVE Law. New York: Oxford University Press. 2009, გვ. 534. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=wa7mCwAAQBAJ&pg=PA524&dq=REVOKING+THE+DONATION+DUE+TO+GROSS+INGRATITUDE+OF+THE+DONEE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiE-bHJ7KnoAhUsSxUIHV4vBOoQ6AEIUDAE#v=onepage&q=REVOKING%20THE%20DONATION

მჩუქებელს აძლევს იმის შესაძლებლობას რომ მას საჩუქრის ჩუქებისას ჰქონდეს უფლება საჩუქრის გამოთხოვის, თუმცა თუკი ამ უფლების გამოყენების გადადება მოხდება სამომავლოდ, მაშინ საჩუქრის გადაცემის აქტი ვერ ჩაითვლება ჩუქებათ და მიიჩნევა რომ ამ დროს სახეზეა ნივთის არა ჩუქებით, არამედ ანდერძით გადაცემა.[110] ფრანგულ სამართალში მადლიერების ვალდებულება მორალიდან გამომდინარეობს, ამ საფუძვლით საჩუქრის გამოთხოვა წარმოადგენს დასაჩუქრებულის სანქციას, მის მიერ მორალური კუთხით უმადურობის გამოჩენის გამო.[111] თავის მხრივ, უმადურობაში საფრანგეთისა და ბელგიის კანონდმებლობა მიიჩნევს, მჩუქებლის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას; სისასტიკეს, დანაშაულის ჩადენას ან შეურაცხყოფის მიყენებას; და უარს დახმარებაზე.[112] მიუხედავად იმისა, რომ არც ფრანგული და არც ბელგიური სამართლით არ მომხდარა ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის მკველობის მცდელობის გამო, დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის მკვლელობის მცდელობაც წარმაოდგენს ჩუქების გაუქმების საფუძველს, ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, მკვლელობის მცდელობა მჩუქებლის სიკვდილით დასრულდა თუ არა ან დასჯილია თუ არა დასაჩუქრებული აღნიშნული ქმედების გამო სისხლის სამრთლის წესით. გარდა ამისა, ისეთი განზრახ ქმედებები, როგორიცაა სისასტიკე, დანაშაული ან შეურაცხყოფა მიმართული მჩუქებლის მიმართ ან მისი ქონების მიმართ, ასევე არის მჩუქებლის მიერ საჩუქრის უკან გამოთხოვის საფუძველი. ამ შემთხვევაშიც საჩუქრის უკან გამოთხოვისათვის არაა აუცილებელი რომ სახეზე იყოს დასაჩუქრებულის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა მისი

%20DUE%20TO%20GROSS%20INGRATITUDE%20OF%20THE%20DONEE&f=false
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[110] Hyland R. GIFTS A STUDY IN COMPARATIVE Law. New York: Oxford University Press. 2009, გვ. 512 ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=wa7mCwAAQBAJ&pg=PA524&dq=REVOKING+THE+DONATION+DUE+TO+GROSS+INGRATITUDE+OF+THE+DONEE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiE-bHJ7KnoAhUsSxUIHV4vBOoQ6AEIUDAE#v=onepage&q=REVOKING%20THE%20DONATION%20DUE%20TO%20GROSS%20INGRATITUDE%20OF%20THE%20DONEE&f=false
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[111] იქვე, 516-517.

[112] იქვე გვ. 518.

ქმედებისათვის. [113] რაც შეეხება ღალატს, როგორც საჩუქრის გამოთხოვის საფუძველს მჩუქებლის მიერ, ამ საკითხის მიმართ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. პატარინის მოსაზრებით, ვინაიდან ღალატი არ არის განქორწინების იმპერატიული საფუძველი, ის ავტომატურად ვერ იქნება მიჩნეული ჩუქების გაუქმების საკმარის საფუძვლად. ბრენერი თავის მხრივ მიიჩნევს, რომ ვინაიდან ჩუქების გაუქმება მეუღლეებს შორის თავისუფლად არ ხდება, უმადურობის საფუძვლით საჩუქრის გამოთხოვისას უმადურობა უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს და მასში უნდა იგულსხმებოდეს ასევე მეუღლეთა შორის ქორწინებსისას სხვადასხვა ვალდებულებების დარღვევაც.[114] დანაშაულის ჩადენა როგორც საჩუქრის გამოთხოვის საფუძველი, კონკრეტულ შემთხვევებში უნდა იყოს შეფასებული. თუკი გამჩუქებელსა და დასაჩუქრებულს აქვთ კონფლიქტი, გამჩუქებლის ძვირფასეულობის მოპარვის ფაქტი, შეიძლება არ იყოს საკმარისი საჩუქარის უკან დაბრუნების მოსათხოვად. ზოგიერთ შემთხვევაში პირის თავისუფლების შეზღუდვაც კი შეიძლება არ იყოს საკმარისი საფუძველი საჩუქრის უკან დაბრუნების. ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ იმსჯელა, რომ როდესაც დასაჩუქრებული გამჩუქებლის სხვა შვილებთან ერთად შეიჭრა გამჩუქებლის სახლში და ის დივანზე დააბა მანამ სანამ არ დაითანხმა მერსედესის მარკის ავტომანქანის უკან დაბრუნებაზე, რომელიც ოჯახური ბიზნესის საკუთრება იყო. ამ შემთხვევაში უზენაესმა განამარტა, რომ ოჯახური დავისა და მისი ისტორიის გათვალისწინებით ეს ქმედებები არაა საკმარისი, რათა მომხდარიყო საჩუქრის უკან გამოთხოვის უფლების წარმოშობა. რაც შეეხება შეურაცხყოფას, ის გულსიხმობს განზრახ, სერიოზული ზიანის მიყენებას პირის ღირესბისა და რეპუტაციისათვის. გარდა ამისა, ფრანგული სამოქალაქო კოდექსი უამდურობის საფუძვლით ითვალისწინებს ასევე ანდერძის გაუქმების შესაძლებლობას მაშინაც კი თუკი შეურაცხყოფა ხდება პირის გარდაცვალების შემდგომ (art. 1047).

[113] იქვე გვ. 518.
[114] იქვე, გვ. 518-519.

პოთიერის სწავლების მიხედვით, რაც ასევე დღეს-დღეობით გავცელებულ შეხედულებას წარმოადგენს, იმისათვის რომ შეურაცხყოფა ჩაითვალოს, უმადურობად, როგორც საჩუქრის გამოთხოვის საფუძვლად, აუცილებელია რომ იგი განხორციელდეს მჩუქებლის სიცოცხლის პერიოდში[115] დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევა, როგორც უმადურობის ერთ-ერთი სახე, ის შეიძლება გახდეს საჩუქრის უკან გამოთხოვის და ჩუქების გაუქმების საფუძველი, როდესაც დახმარებაზე უარი არის უკანონო, მაგრამ საჩუქარს ვერ გამოითხოვს მჩუქებელი თუკი მას დახმარების მიღება შეუძლია მოითხოვოს მათგან ვისაც მისი დახმარების ვალდებულება გააჩნია ან თუკი დასაჩუქრებულს დასახმარებლად საკმარისი რესურსები არ ააქვს. ხოლო მაშინაც კი თუკი მჩუქებელს ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვა სურს, მან შეიძლება ეს ვერ შეძლოს, თუკი დასაჩუქრებული მას დახმარებას შესთავაზებს.[116] ქართული სამართლისგან განსხვავებით, ლუიზიანის შტატის სამოქალაქო კოდექსი სხვადასხვა სახის ჩუქების ხელშეკრულების არსებობას ითვალისწინებს. ხოლო მათი გაუქმების საფუძვლებიც განსხვავებულია. ლუიზიანის სამოქალაქო კოდექსი ითვალსწინებს ჩუქების საგნის გადაცემას ჩუქების inter vivos და ჩუქების mortis causa-ს მიხედვით (Art. 1497).[117] (Donation inter vivos) ჩუქება inter vivos, არის ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რა დროსაც ჩუქების ხელშეკრულება იდება ცოცხალ პირებს შორის და მჩუქებელი თავის საკუთრებაში არსებულ საგანს, საჩუქარის სახით გადასცემს პირს, მისი სამომავლო გამოთხოვის განზრახვის გარეშე, რაზეც თანხმობას განაცხადებს დასაჩუქრებული. (La. C.C. art. 1468).[118] (Donation mortis causa)

---

[115] იქვე, გვ. 519.
[116] იქვე, გვ. 519.
[117] Luisiana Civil Code, (Art. 1497). ინფორმაციის წყარო; https://lcco.law.lsu.edu/?uid=53&ver=en#53 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
[118] W. Rome G., Kinsella S., Luisiana Civil Law Dictionary. New Orleans, Louisiana: Quid Pro Books. 2011. D, Donation, Donation inter vivos. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=4lhscUogaLYC&pg=PT30&lpg=PT30&dq=meaning+of+donation+inter+vivos,+mortis+causa+and+omnium+bonorum&source=bl&ots=QDcOGsy30q&sig=ACfU3U2TRq1Yg_YlioBD0Caln7rLZxYSKA&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwiO7oOOkaLqAhXxRhUIHZkqAYsQ6AEwAHoECAkQAQ#v=onepage&q=meaning%20of%20donation%20inter%20vivos%2C%20mo

ჩუქება mortis causa, ასევე არის ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რა დროსაც ჩუქების ხელშეკრულება ძალაში შედის მჩუქებლის გარდაცვალებისას და მჩუქებლის ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ საჩუქრის სახით გადაეცემა პირს. ჩუქება mortis causa-ს გაუქმება და საჩუქარის გამოთხოვა შესაძლებელია მჩუქებლის მიერ, მისი სიცოცხლის პერიოდში.[119] ლუიზიანის სამოქალაქო კოდექსის 1557-ე არტიკლის მიხედვით, ჩუქების საგნის გამოთხოვა და ხელშეკრულების გაუქმება უმადურობის საფუძველზე შეიძლება მოხდეს შემდეგ შემთხვევებში: 1) თუკი დასაჩუქრებულს ჰქონდა მჩუქებლის მოკვლის განზრახვა; ან 2) თუკი დასაჩუქრებული დამნაშავედ არის ცნობილი მჩუქებლის მიმართ მიყენებული არასათანადო სასტიკი მოპყრობის, დანაშაულის ან სხეულზე მძიმე დაზიანებების გამო.[120] ლუიზიანის შტატის სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა, რომ მძიმე ფიზიკური ზიანი ან არასათანადო სასტიკი მოპყრობა, რომელიც საკმარისია ჩუქების ხელშეკრულების გასაუქმებლად, შეიძლება გულსიხმობდეს ისეთ ქმედებებს როგორიცაა, მეუღლის ღალატი, მშობლის საკუთრებაში არსებული ქონების კონფისკაცია, მშობლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე სარჩელის შეტანა, ისეთი განაცხადის გაკეთება, რომელიც გულისხმობს მჩუქებლის გარდაიცვალების სურვილის არსებობას და უზუფრუქტუარის საკუთრებიდან გაგდების მცდელობის შემთხვევა. Perry, supra; Spruiell v. Ludwig, 568 So. 2d 133, 137-38 (La. App. 5 Cir. 1990), writ denied, 573 So. 2d 1117 (La. 1991); Sanders v. Sanders, 33,865 (La. App. 2 Cir. 9/27/00), 768 So. 2d 739, 743; Whitman v. Whitman, 31,814 (La. App. 2 Cir. 3/31/99), 730 So. 2d 1048, 1053; Erikson v. Feller, 04-1033 (La. App. 3 Cir.

---

rtis%20causa%20and%20omnium%20bonorum&f=false (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[119] Luisiana Civil Code , (Art. 1469). ინფორმაციის წყარო: https://lcco.law.lsu.edu/?uid=52&ver=en#52 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[120] Luisiana Civil Code , (Art. 1557). ინფორმაციის წყარო: https://lcco.law.lsu.edu/?uid=56&ver=en#56 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

12/8/04), 889 So. 2d 430, 434.[121] მსგავსად ლუიზიანის შტატის სამოქალაქო კოდექსისა, კვებეკის სამოქალაქო კოდექსის მიხედვითაც, საჩუქრები ორ კატეგორიად იყოფა: inter vivos და mortis causa.[122] მნიშვნელოვნად განსხვავდება მოწესრიგების მხრივ საჩუქარი mortis causa ცივილურ სამართალსა და საერთო სამართალში. ცივილური სამართალი mortis causa-ს ითვალისწინებს მხოლოდ ქორწინების დროს, რა დროსაც უნდა არსებობდეს კანონდმებლობის შესაბამისი ჩუქების ხელშეკრულება. ასეთი საჩუქრის მიღება შეუძლიათ მხოლოდ მეუღლეებს, მომავალ მეუღლეებს, მათ საერთო და არასაერთო შვილებს. ამასთან, თუკი საჩუქარი inter vivos გადაცემულია მჩუქებლის მიერ მისი სასიკვდილო ავადმყოფობის დროს არის ბათილი, რადგან ასეთი ჩუქება წარმოადგენს არა inter vivos, არამედ mortis causa-ს. საერთო სამართალში საჩუქარი გადაცემული უნდა იყოს დასაჩუქრებულის მფლობელობაში, მაშინ როცა მჩუქებელი ცოცხალია, მაგრამ საჩუქრის უკან დაბრუნების შესაძლებლობა იკარგება, როგორც კი მჩუქებელი გარდაიცვლება.[123] ქართული სამართლის მსგავსად, გერმანული სამოქალაქო კოდექსიც ითვალისწინებს ჩუქების გაუქმებას უმადურობის საფუძვლით. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 530-ე არტიკლის მიხედვით, (1) ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მძიმე გადაცდომის ჩადენით იჩენს დიდ უმადურობას. (2) მჩუქებლის მემკვიდრეს ეკუთვნის ჩუქების გაუქმების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულმა განზრახ და მართლსაწინააღდეგო ქმედებით მოუსპო სიცოცხლე მჩუქებელს ან ხელი შეუშალა ჩუქების გაუქმების განხორციელებას.[124] თუმცა ქართული სამართლისგან განსხვავებით, გერმანული სამოქალაქო კოდექსი ცალკე

---

[121] STATE OF LOUISIANA COURT OF APPEAL FIRST CIRCUIT, 2014 CA 1532. ინფორმაციის წყარო: https://cases.justia.com/louisiana/first-circuit-court-of-appeal/2015-2014ca1532.pdf?ts=1429898885 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[122] ინფორმაციის წყარო: https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/csj-sjc/harmonization/siroi/gift2-don.html (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[123] ინფორმაციის წყარო: https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/csj-sjc/harmonization/siroi/gift3-don.html (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[124] კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი. თბილისი, 2014, გვ. 395.

სახედ გამოჰყოფს ისეთ საჩუქრებს, რომელთა გამოთხოვაც დაუშვებელია. გერმანული სამოქალაქო კოდექსის 534-ე არტიკლის მიხედვით, ნაჩუქრობები, რომლებიც შეესაბამება მორალურ ვალდებულებას, ან გაკეთდა ზრდილობისათვის, არ ექვემდებარება გამოთხოვასა და გაუქმებას.[125] მსგავსად ქართული სამართლისა, იტალიური სამართალიც იცნობს უმადურობას, როგორც ჩუქების გაუქმების საფუძველს. კერძოდ, იტალიის სამოქალაქო სამართალი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლად ასევე მიიჩნევს, (serious wrongs) სერიოზული ამორალური ქმედების ჩადენას დასაჩუქრებულის მხრიდან. აღნიშნულის შეფასების დისკრეცია ყოველი შემთხვევის დროს აქვს მოსამართლეს. მაგრამ ასეთი შეცდომების სერიოზულობას განსაზღვრავს დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ გამოხატული შეგნებული და ნებელობითი შეურაცხყოფა, რაც თავის მხრივ, უმადურობის გამოვლინებას წარმოადგენს.[126] იტალიურ სამართალში საინტერესოა ისიც, რომ უეცარი გაბრაზება ან მკაცრი კრიტიკა ვერ გახდება ჩუქების გაუქმების საფუძველი. უმადურობასა და ამორალურ ქმედებაში, იგულისხმება შეურაცხმყოფელი ქმედების ჩადენა, რომელიც მორალური მხრივ ხელყოფს მჩუქებლის პატივსა და ღირსებას. ასევე, ქმარს შეუძლია, დაქორწინებამდე ნაჩუქარი საჩუქრის გამოთხოვა მოღალატე ცოლისგან, მაგრამ ამავე შემთხვევაში ჩუქების გაუქმებას ამ საფუძვლით ვერ მოითხოვს მოღალატე მეუღლის მამა. იტალიის სამართლის მხიედვით, ზიანის რისკი, რაც არ უნდა სერიოზული იყოს, ვერ გახდება ჩუქების გაუქმების საფუძველი, მანამ სანამ, ეს რისკი რეალურად არ განხორციელდება და პირს ზიანი არ მიადგება.[127] მსგავსად ფრანგული სამართლისა, იტალიური სამოქალქო სამართალიც

---

[125] იქვე, გვ. 395.

[126] Hyland R. GIFTS A STUDY IN COMPARATIVE Law. New York: Oxford University Press. 2009, გვ. 521. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=wa7mCwAAQBAJ&pg=PA524&dq=REVOKING+THE+DONATION+DUE+TO+GROSS+INGRATITUDE+OF+THE+DONEE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiE-bHJ7KnoAhUsSxUIHV4vBOoQ6AEIUDAE#v=onepage&q=REVOKING%20THE%20DONATION%20DUE%20TO%20GROSS%20INGRATITUDE%20OF%20THE%20DONEE&f=false (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[127] იქვე, გვ. 522.

მიუთითებს ჩუქების გაუქმების საფუძვლად დახმარებაზე უარის თქმას. საოჯახო სამართლის მიხედვით, ამ საფუძვლით ჩუქების გაუქმება შესაძლებელია მოხდეს ახლო ნათესავებს შორის.[128] იტალიური სამართალი ქორწინებასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან დაბრუნების შესაძლებლობას გამორიცხავს, თუმცა ეს არ ეხება ნიშნობის საჩუქრებს.[129] საჩუქარი, რომელიც ნაჩუქარია კერძო იურიდიული პირისთვის, როგორიცაა ასოციაციები და ამხანაგობები, შეიძლება რომ უკან იქნეს გამოთხოვილი, რადგან ამ დროს მიიჩნევა, რომ ჩადენილი უკანონო ქმედება პირდაპირ არის დაკავშირებული ორგანიზაციის მიზნებთან.[130] მსგავსად იტალიური და ფრანგული სამოქალაქო კოდექსისა, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 648-ე არტიკლი ჩუქების გაუქმების და საჩუქრის უკან გამოთხოვის საფუძვლად უმადურობის ცნებაში მოიაზრებს დასაჩუქრებულის მიერ დანაშაულის ჩადენას მჩუქებლის, მისი ღირსების ან საკუთრების წინააღმდეგ. ასევე, მჩუქებლის მიმართ დახმარების გაწევაზე უკანონოდ უარის თქმას.[131] ესპანეთში სასამართლოები დანაშაულის ცნებას ფართოდ განმარტავენ და მიიჩნევენ, რომ დანაშაულად არა მხოლოდ დასჯადი ქმედება უნდა ჩაითვალოს არამედ, ასევე სოციალურად გასაკიცხი ქმედება, რომელიც მიჩნეულია როგორც დანაშაული.[132] ესპანეთის სამოქალაქო სამართალი ასევე ითვალისწინებს უმადურობის საფუძვლით ისეთი საჩუქრების გამოთხოვის შესაძლებლობას, რომელიც ქორწინებასთან არის დაკავშირებული. საქმროსა და საცოლეს შორის ჩუქებისას, უმადურობის ცნება მოიცავს ასევე მემკვიდრეობის ჩამორთმევის ყველა

---

[128] იქვე, გვ. 523
[129] იქვე, გვ. 530
[130] იქვე, გვ. 530.
[131] Spanish Civil Code. Ministerio de Justicia, 2013. Art. 648, გვ. 115. ინფორმაციის წყარო: http://derechocivil-ugr.es/attachments/article/45/spanish-civil-code.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
[132] Hyland R. GIFTS A STUDY IN COMPARATIVE Law. New York: Oxford University Press. 2009, გვ. 523. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=wa7mCwAAQBAJ&pg=PA524&dq=REVOKING+THE+DONATION+DUE+TO+GROSS+INGRATITUDE+OF+THE+DONEE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiE-bHJ7KnoAhUsSxUIHV4vBOoQ6AEIUDAE#v=onepage&q=REVOKING%20THE%20DONATION%20DUE%20TO%20GROSS%20INGRATITUDE%20OF%20THE%20DONEE&f=false (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

საფუძველს, რომელიც ჩამოთვლილია კოდექსში, განქორწინებასთან ერთად. თავის მხრივ, ასეთი საფუძვლები შეიძლება იყოს ცოლქმრული ვალდებულებების დარღვევა, მშობლის უფლების ჩამორთმევა (patria potestad) მშობლის ვალდებულებების დარღვევის გამო. ასევე ისეთი გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია შვილების მიტოვებასთან, მათი პროსტიტუციაში ჩაბმასთან, ან მჩუქებლის ან მისი რომელიმე ახლო ნათესავის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნასთან.[133] ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს დასაჩუქრებულის უმადურობის ხარისხი და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, წარმოადგნს თუ არა დასაჩუქრებულის ქმედება არაზნეობრივ, გასაკიცხ საქციელს, რაც შეიძლება უმადურობის გამოვლენად, შესაბამისად, ჩუქების გაუქმების საფუძვლად შეფასდეს. კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას მჩუქებლისადმი, ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი.[134] საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 529 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ჩუქების გაუქმების საფუძვლად განსაზღვრულია, როგორც მჩუქებლის, ისე მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოჩენილი დიდი უმადურობა ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. ამ დანაწესის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს ჩუქების გაუქმებას, თუკი ასეთი მჩუქებლის მიერ იქნება

[133] იქვე, გვ. 524.

[134] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-744-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

მოთხოვნილი, ანუ მჩუქებელი მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის ზნეობრივად გასაკიცხ ქმედებას იმდენად უნდა ითავისებდეს, რომ თვითონვე უნდა ხდიდეს სადავოდ მასა და დასაჩუქრებულს შორის არსებულ ვალდებულებით სამართალურთიერთობას.[135] საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჩუქების ხელშეკრულებით კონტრაჰენტი იღებს საკუთრების უფლებას, რომელიც „ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის" დამატებითი ოქმის პირველი მუხლითაა გარანტირებული. ნორმით დაცული სიკეთით სარგებლობის მიმართ კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ფართო ზღვარს უდგენს, თუმცა, საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ლეგიტიმურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს და დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, რათა მესაკუთრის გარანტირებული უფლებები არ დაირღვეს. ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების გაუქმების საკანონმდებლო რეგლამენტაციათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სსკ-ის 529-ე მუხლი.[136] საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასახული მიზნის პროპორციული შეიძლება იყოს არა მჩუქებლის სუბიექტური დამოკიდებულებიდან, არამედ, ჩუქების აქტის შემდგომ განვითარებული მოვლენების გონივრული განსჯიდან გამომდინარე, რომელიც სასამართლოს, მსგავსად მჩუქებლისა, მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ დასაჩუქრებულის ქცევა საზოგადოების სოციუმში დამკვიდრებულ მორალურ სტანდარტს ეწინააღმდეგება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეგებებული მოპასუხის მიერ თავისი უფლებების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა, მჩუქებლისათვის მძიმე შეურაცხყოფის მიყენებად და უმადურობად ვერ შეფასდება, ისევე როგორც, განქორწინებიდან და მხარეთა შორის არსებული

---

[135] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1333-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[136] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1183-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელი მოპასუხის (თავდაპირველი მოსარჩელის) მოთხოვნა, სადავო უძრავ ქონებაზე მფლობელობის შეწყვეტის შესახებ.[137] ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ როგორც წესი, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) დროს, დასაჩუქრებულის ქონება გაზრდა ხდება მისი მხრიდან საპასუხო შესრულების გარეშე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოპასუხე სათანადო მზრუნველობას არ იჩენს და ყურადღებას არ აქცევს მოსარჩელეს, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა ან ამით აყენებს მას მძიმე შეურაცხყოფას.[138] ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც უზენაესმა დაადგინა რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მოხდა უზენაესის პრაქტიკისგან გადახვევა და საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე, 529-ე მუხლებით და განმარტა, რომ რეალური მუქარის და ოჯახის დანაზოგის ა.ბ-ან დაუკითხავად წაღების ფაქტები ნ. დ-ის მხრიდან არ დადასტურებულა. მხოლოდ ოჯახურ თანაცხოვრებაზე უარის თქმა კი ვერ იქნებოდა მიჩნეული იმგვარ მძიმე შეურაცხყოფად ან დიდ უმადურობად, რასაც შეეძლო გამოეწვია ჩუქების გაუქმება. პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ჩუქების შედეგად მხარეები რამდენიმე წლის მანძილზე აგრძელებდნენ ერთად ცხოვრებას. თ. ს-ე კი სადავო ქონება გადაფორმდა ჩუქებიდან 6 წლის გასვლის შემდეგ. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეს არ ჰქონია არაკეთილსინდისიერი განზრახვა, რაც მხოლოდ ქონებრივ ინტერესებს უკავშირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უფრო ადრე განკარგავდა ნაჩუქარ ქონებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ

---

[137] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1183-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[138] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-710-676-2015. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები.[139] უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, კასატორი ჩუქების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად, კერძოდ, უმადურობად და მძიმე შეურაცხყოფად იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ მისი რეგისტრაცია სადავო ფართში გააუქმა მოპასუხემ და არ აძლევს ბინაში ცხოვრების უფლებას. დადგენილია, რომ მამამ შვილის სამისამართო რეგისტრაცია, სადავო ფართში, გააუქმა 2011 წლის მაისში, თუმცა, კასატორს აღნიშნული 2014 წლამდე სადავოდ არ გაუხდია. მითითებული საფუძველი არ წარმოადგენს მჩუქებლის, ან მისი ნათესავების მიმართ გამოჩენილ უმადურობას, ამასთან, კანონით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს, შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება უსაფუძვლოა [სსკ-ის 529-ე მუხლი]. საკასაციო სასამართლო, სსკ-ის 170-ე მუხლზე მითითებით, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომელიც ამ განჩიენების 35-ე პუნქტშია მითითებული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ქონებით სარგებლობის აკრძალვა არ შეიძლება ჩაითვალოს ზნეობრივად გასაკიცხ მოქმედებად და დიდ უმადურობად.[140] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა: „სსკ-ის 529-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ეხება მხარეთა შორის არსებული ნაჩუქრობის ურთიერთობის გაუქმებას, რაზედაც მეტყველებს გამოთქმები - „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს“, „თუ ჩუქება გაუქმდება“. ჩუქების ფაქტის შემდეგ მხარეთა შორის ურთიერთობა დამთავრებული რომ ყოფილიყო, მაშინ, არც ჩუქების გაუქმებაზე იქნებოდა საუბარი,

[139] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-910-860-2015. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[140] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1067-1006-2015. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ვინაიდან შეუძლებელია გაუქმდეს ის, რაც არ არსებობს. საჩუქრის დაბრუნება სწორედ რომ ნაჩუქრობის გაუქმების შედეგია. სსკ-ის 529-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ“. აქედან ჩანს, რომ ნაჩუქარზე საკუთრების უფლების შეწყვეტა ჩუქების გაუქმებას მოსდევს და ნაჩუქრობის სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამიტომაცაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთი მხარის მიერ თავისი უფლების განხორციელება, რასაც დასაჩუქრებულისაგან საკუთრების დაბრუნება მოსდევს შედეგად, არ შეიძლება განვიხილოთ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დარღვევად. მხედველობაშია მისაღები ის, რომ საკუთრების უფლების ჩამორთმევის წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ამას ადგილი აქვს საამისოდ უფლებამოსილი სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოების) მხრიდან საჯარო ამოცანების შესასრულებლად. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით უნდა იყოს განპირობებული. 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელია ვილაპარაკოთ საკუთრების ჩამორთმევაზე. არ შეიძლება საკუთრების ჩამორთმევად განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც ქონების უკან დაბრუნებას სახელშეკრულებო ურთიერთობა განაპირობებს.[141] ერთ-ერთი გადაწყვეტილებით იტალიის სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლად მიიჩნია ისეთი მოქმედება, როდესაც დასაჩუქრებულმა პირმა მჩუქებელს მეძავი უწოდა და მოკვლით დაემუქრა. სხვა გადაწყვეტილებით კი საჩუქრის გამოთხოვის საფუძვლად არ მიიჩნია სასამართლომ ისეთი გარემოება, როდესაც დასაჩუქრებულმა, რომელიც თავის მხრივ მჩუქებლის ქალიშვილს წარმაოდგენდა, უარი თქვა სწავლაზე, მიატოვა სკოლა, გახდა ნარკოტიკზე

[141] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1-ლი აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე NN/2/155. ინფორმაციის წყარო: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=148 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

დამოკიდებული და ნარკოტიკის გამყიდველი, ავტომანქანას ატარებდა მართვის მოწმობის გარეშე და ავტოავარიის დროს მიიღო სხეულის დაზიანება. ამ შემთხვევაში, მიუხედავად ქმედებების სიმძიმისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაჩუქრებულის ქმედებები არ იყო მიმართული მჩუქებლის ან მჩუქებლის მემკვიდრეობის წინააღმდეგ.[142] ასევე, ერთ-ერთი გადაწყვეტილებით იტალიის სასამართლომ ჩუქების საგნის გამოთხოვის საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევა, როგორიცაა შვილის მიერ მშობლების საკუთარი სახლიდან გამოსახლება, მას შემდეგ რაც მშობლებმა შვილს სახლი და მთელი თავისი ქონება აჩუქეს.[143] ლუიზიანას სააპელაციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში Petrie v. Michetti იმსჯელა საჩუქრის გამოთხოვისა და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საკეთზე. ლუიზიანის სამოქალაქო სამართალი საჩუქრის (inter vivos) წესით გადაცემის დროს, ითვალისწინებს საჩუქრის უკან დაბრუნების შესაძლებლობას, კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევისას, რომელსაც წარმოადგენს უმადურობა. მოცემულ საქმეზე სასამართლომ იმსჯელა პირის ნების ნამდვილობის საკითხზე, პირის ნებაზე გამოხატულ გავლენასა და უმადურობის საფუძვლით ჩუქების გაუქმების საკითხზე. [144] მოსარჩელე ქალბატონმა რეარიკმა შეიტანა სარჩელი სასამართლოში, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისა და მისი ქალიშვილისათვის ქალბატონი მიჩეტისათვის ნაჩუქარი უძრავი ქონების უკან გამოთხოვის მოთხოვნით. მიჩეტი ხუთი წლის განმავლობაში რეარიკის მთავარი მზრუნველი და მეთვალყურე იყო.

---

[142] Hyland R. GIFTS A STUDY IN COMPARATIVE Law. New York: Oxford University Press. 2009, გვ. 521. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=wa7mCwAAQBAJ&pg=PA524&dq=REVOKING+THE+DONATION+DUE+TO+GROSS+INGRATITUDE+OF+THE+DONEE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiE-bHJ7KnoAhUsSxUIHV4vBOoQ6AEIUDAE#v=onepage&q=REVOKING%20THE%20DONATION%20DUE%20TO%20GROSS%20INGRATITUDE%20OF%20THE%20DONEE&f=false (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[143] იქვე; გვ. 521-522.

[144] Romero M. PETRIE V. MICHETTI, AND THE INDELIBLE NATURE OF DONATIONS INTER VIVOS. Journal of Civil Law Studies. 2013, Volume, Number 1, გვ. 305. ინფორმაციის წყარო: https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1104&context=jcls (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ამ დროის განმავლობაში მიჩეტი დედასთან ერთად ცხოვრობდა სწორედ იმ სახლში, რომელიც ჩუქების ობიექტს წარმოადგენს. რამდენიმეჯერ კონფლიქტი წარმოიშვა მიჩეტსა და მის დებს შორის, ერთ-ერთი კონფლიქტის დროს მიჩეტს მოუწია დედისა და სახლის მიტოვება რამდენიმე კვირით. მიჩეტს ნათქვამი ჰქონდა დედისთვის რომ ის გადავიდოდა სხვაგან საცხოვრებლად, თუკი დედა მას არ აჩუქებდა სახლს, სახლის ჩუქების შემთხვევაში მას ვერავინ აიძულებდა სახლიდან წასვლას და დედაზე მზრუნველობის გაწევასაც შეძლებდა. სასამართლოზე რეარიკმა დაადასტურა რომ მან შვილს აჩუქა სახლი რადგან მას ის ეცოდებოდა. სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის დაძაბული ურთიერთობის არსებობას, თუმცა უთანხმოების წყარო თავის მხრივ სადავო იყო. მჩუქებელი აცხადებდა, რომ დასაჩუქრებულმა ფეხი კრა იმ სკამს რაზეც მჩუქებელი ფეხებს ასვენებდა, მისი ნების საწინააღმდეგოდ წნევას უმოწმებდა და უკონტროლებდა მასთან მისულ მნახველებს. მჩუქებელმა ასევე აღნიშნა, რომ დასაჩუქრებული მას ემუქრებოდა რომ მოხუცთა თავშესაფარში წაიყვანდა ჩუქების არარსებობის შემთხვევაში. ერთ-ერთმა დამ დასაჩუქრებულს ბრალი დასდო მჩუქებლის მიმართ ტონის აწევაში, თუმცა დასაჩუქრებულმა ახსენა რომ ის მართლაც უწევდა ტონს დედის წინაშე, ოღონდ იმ მიზნით რომ დედას შეძლებოდა მისი ხმის გაგონება. ერთ-ერთმა დამ აღაიარა რომ მოხუცთა დახმარების სამსახურსაც მიმართეს განცხადებით დაახლოებით ორმოცჯერ. თუმცა აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლების ცნობით ძალადობის ფაქტის ბრალდებები ვერ დამტკიცდა. მჩუქებლის ერთ-ერთი შვილის თქმით, ის არასდროს შესწრებია რომ დასაჩუქრებული ცუდად მოქცეოდა დედას. თუმცა მან მიუთითა რომ ის გაბრაზდა, როცა ჩუქების შესახებ შეიტყო და მიუთითა სატელეფონო ჩანაწერის არსებობაზე. მჩუქებელმა მოგვიანებით აღაირა, რომ ხუთი წლის განმავლობაში დასაჩუქრებული უზრუნველყოფდა მისთვის მედიკამენტების მიწოდებას, მუდმივად მასთან ერთად იყო,

ზოგჯერ საჭმელსაც უმზადებდა, მისთვის საკვებ-პროდუქტებს ყიდულობდა, ჩაცმაში ეხმარეობდა, არაერთ საოჯახო საქმეს აკეთებდა და საავადმყოფოში ექიმთან მიჰყავდა ხოლმე. სასამართლოზე, ადვოკატმა, რომლის დახმარებითაც განხორციელდა ჩუქების აქტი, დაადასტურა რომ სახეზე არ იყო ჩუქების იძულებით დადების ფაქტი და რომ ნამდვილი ნება იყო გამოხატული მჩუქებლის მიერ. მან ასევე ახსენა რომ მჩუქებლელი წლების განმავლობაში ბევრჯერ გეგმავდა დასაჩუქრებულის მიმართ ჩუქების განხორციელებას. ჩვენება მისცა ასევე მჩუქებლის ექიმმა, რომელმაც თქვა, რომ ძალადობის არანაირი კვალი არ შეუმჩნევია ქალბატონ რეარიკზე, მისი მკურნალობის 25 წლის განმავლობაში, ასევე მიუთითა რომ დასაჩუქრებლის მხრიდან მხოლოდ კეთილგანწყობას ხედავდა დედის მიმართ. მან ასევე მჩუქებლის ოჯახურ ურთიერთობებს დაძაბული უწოდა. სასამართლოს ჩვენება მისცა ასევე დასაჩუქრებულის სიძემ, რომელმაც დაადასტურა მჩუქებლის მიმართ ცუდად მოპყრობის ფაქტის არარსებობა. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მჩუქებელი მიუთითებდა იმას, რომ სახეზე იყო ნების ნაკლით დადებული ჩუქება, რის გამოც მიიჩნევდა რომ ჩუქება საერთოდ არარსებობდა და სხვა შემთხვევაში ჩუქების საგანი მისი შვილის უმადურობით მაინც უნდა გამოთხოვილიყო უკან, სასამართლომ მიიჩნია რომ მჩუქებელმა ვერცერთი გარემოება ვერ დაამტკიცა, შესაბამისად მას სარჩელი არ დაუკმაყოფილდა.[145] სხვა საქმეები წარმოაჩენს უამდურობის უფრო მძიმე ფორმებს, მაგალითად Erikson v. Feller საქმეში, სასამართლომ დააკამყოფილა სარჩელი ნაჩუქარი უძრავი ქონების გამოთხოვის თაობაზე უმადურობის საფუძვლით, როდესაც დასაჩუქრებულმა, მჩუქებლის შვილიშვილმა, მჩუქებელს ბრალი დასდო მისი შვილის მიმართ სექსუალურ ძალადობაში. აღნიშნული არ დამტკიცდა. უფრო მეტიც, შვილიშვილი ცდილობდა ბაბუის გამოსახლებას იმ საკუთრებიდან რომელიც ბაბუამისს უზუფრუქტით ჰქონდა აღებული. აღნიშნულის მსგავსად, საქმეში Sanders v. Sanders, სასამართლომ

[145] იქვე, გვ. 305 – 307.

დააკმაყოფილა საჩუქრის გამოთხოვის და ჩუქების გაუქმების მოთხოვნა, როდესაც დასაჩუქრებულმა შვილმა მჩუქებელ მამას უთხრა, რომ ის ისურვებდა მშობლების სიკვდილს, წერილი დაწერა სადაც ცილს სწამებდა საკუთარ მშობლებს და უარს ამბობდა საკუთარ მამაზე.[146]

4.3 მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების გამოთხოვა

529 II მუხლი ადგენს სამართლებრივ შედეგს, რომელიც მჩუქებელს ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას ანიჭებს უფლებას, „გააუქმოს" ჩუქების ხელშეკრულება და მოითხოვოს ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება. 529-ე მუხლი ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციალური მოთხოვნის საფუძველია, ვინაიდან ის განსაზღვრავს მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს და ასევე ამ წინაპირობების არსებობისას დამდგარ შესაბამის სამართლებრივ შედეგს. გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვას უსაფუძვლო გამდიდრების სამართლით მოწესრიგებული მოთხოვნის საფუძველზე ამყარებს, საქართველოს კანონმდებლობით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის საფუძვლიდან უშუალოდ გამომდინარეობს ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, 529-ე მუხლი, უშუალოდ განსაზღვრავს მოთხოვნის უფლებას, კერძოდ შესაბამის სამართლებრივ შედეგს. აღნიშნული, გერმანული მოწესრიგებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ჩუქების გაუქმების უფლებას კი არ წარმოშობს, არამედ აფუძნებს გაუქმების შემდეგ გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვის უფლებასაც. ამიტომაც იგი სპეციალური მოთხოვნის დამოუკიდებელ სამართლებრივ საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება ხორციელდება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით დასაჩუქრებულის მიმართ. ჩუქების გაუქმების შეტყობინება ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი ნების გამოვლენა მოექცევა მიმღების ძალაუფლების სფეროში

[146] იქვე, გვ. 311 – 312.

და მას რეალური შესაძლებლობა ექნება გაეცნოს აღნიშნულს. ჩუქების გაუქმება ხორციელდება მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენით, რომელიც განხორციელებისთანავე წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგს. ჩუქების გაუქმება კანონმდებლის მიერ პირისათვის მინიჭებული ძალაუფლებაა, ცალმხრივად — ანუ მეორე მხარის თანაქმედების გარეშე, გამოიწვიოს სასურველი სამართლებრივი შედეგი. იგი მიმართული უნდა იყოს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების გაუქმებისაკენ და მასში მითითებული უნდა იყოს ჩუქების გაუქმების საფუძველი.[147] თუ ჩუქება გაუმებულ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მჩუქებელი უფლებამოსილია მოითხოვოს გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნება. ეს პროცესი გაცილებით მარტივია, როცა სახეზეა გასაჩუქრებული ქონება. ამ დროს მოხდება ქონების ნატურით დაბუნება. სხვა შემთხვევაში დასაჩუქრებულმა უნდა დააბრუნოს საჩუქრის ღირებულება.[148] თუკი ნაჩუქარი ქონება ფიზიკურად აღარ არსებობს, ან დასაჩუქრებულის საკუთრებაში არ იმყოფება (გასხვისებულია მესამე პირზე), ასეთ შემთხვევაში დასაჩუქრებულს არ შეიძლება დაეკისროს ფულადი კომპენსაცია. ნაჩუქარ ქონებაზე მესამე პირების მიერ მოპოვებული უფლება ჩუქების გაუქმებით არ ირღვევა.[149] გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნება შესაძლებელია სასამართლოს მიერ ჩუქების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.[150]

---

[147] ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), gcccc.ge, ბოლო დამუშავება: 24 მაისი, 2016. მუხლი 529. გვ. 9-10. ინფორმაციის წყარო: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-529.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[148] ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I. თბილისი : გამომცემლობა სამართალი, 2001, გვ. 77-78. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[149] ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) gcccc.ge, ჭანტურია (რედ.), ბოლო დამუშავება: 24 მაისი, 2016, მუხლი 529. გვ. 10. ინფორმაციის წყარო: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-529.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[150] ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I. თბილისი : გამომცემლობა სამართალი, 2001, გვ. 78. ინფორმაციის წყარო:

გასაზიარებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, „სასამართლო სსკ-ის 529-ე მუხლის შემადგენლობის არსებობისას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს დასაშვებად, როდესაც 529-ე მუხლის რეგულირების მიზანი — მჩუქებლის ინტერესების დაცვა — სხვაგვარად ვერ მიიღწევა დასაჩუქრებულის მიერ კანონის გვერდის ავლისა ან უფლების ბოროტად გამოყენების გამო“.[151] აქვე უნდა აღინიშნოს ამ საკითხთან მიმართებით, უზენაესი სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თუ ჩუქება გაუქმებული იქნება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დასაჩუქრებულის უმადურობის ან მძიმე შეურაცხყოფის მოტივით, მჩუქებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნება. გერმანული სამართლის მსგავსად, რომელიც გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვას უსაფუძვლო გამდიდრების სამართლით მოწესრიგებული მოთხოვნის საფუძველზე ამყარებს.[152] გერმანული სამოქალაქო კოდექსის 531-ე პარაგრაფის მიხედვით, (1) ჩუქების გაუქმება ხორციელდება დასაჩუქრებულის მიმართ გაკეთებული განცხადებით. (2) თუ ჩუქება გაუქმდა, მაშინ საჩუქრის დაბრუნება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.[153] განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსისა, გერმანული სამოქალაქო კოდექსი ჩუქების გაუქმების შესაძლებლობას გამორიცხავს, თუკი მჩუქებელმა აპატია

---

https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[151] ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.),გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), gcccc.ge, ბოლო დამუშავება: 24 მაისი, 2016, მუხლი 529. გვ. 10-11. ინფორმაციის წყარო: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-529.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[152] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1333-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[153] კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი. თბილისი, 2014, გვ. 395.

დასაჩუქრებულს[154] თუ დასაჩუქრებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომლის შედეგადაც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება და ნაჩუქარი ნივთის ამოღება (ნივთის გასხვისება, განადგურება, მოხმარება და ა.შ.) მისი ღირებულება შეიძლება ამოღებული იქნას დასაჩუქრებულისაგან უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად ანუ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დასაჩუქრებულის ზემოაღნიშნული ქმედება განიხილება როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, რადგანაც მესაკუთრის უფლებამოსილების რეალიზაციის სამართლებრივი საფუძველი დასაჩუქრებულს უკვე აღარ გააჩნდა. რაც შეეხება არაბრალეულ, ანუ გაუფრთხილებელ ქმედებებს დასაჩუქრებულის მხრიდან, რომელთა შედეგადაც შეუძლებელია ნაჩუქრობის საგნის ნატურით დაბრუნება, ვერ გახდება მისგან საგნის ღირებულების ამოღების საფუძველი.“ საგნის ღირებულების კომპენსაციის მოთხოვნის არსებობის აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული და დასაშვები, თუ გამდიდრების ნიშნები კვლავ არსებობს, კერძოდ, ნაჩუქარი ნივთის განკარგვა მოხდა სანაცვლო უპირატესობის მიღებით. ნაჩუქარი ქონების დაბრუნებისას დასაჩუქრებულს არა აქვს უფლება მჩუქებლისაგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების გამო. თუმცა კი შეუძლია მოითხოვოს ნაჩუქარი ნივთის გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.[155]

---

[154] იქვე გვ. 395.

[155] ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), gcccc.ge, ბოლო დამუშავება: 24 მაისი, 2016, მუხლი 529. გვ. 11. ინფორმაციის წყარო: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-529.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

4.4 გაჩუქებული ქონების გამოთხოვა დასაჩუქრებულის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნის გამო

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. მე-2 ნაწილის მიხედვით, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.[156] საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ჩუქების გაუქმება გამოწვეულია არა დასაჩუქრებულის უმადურობით, არამედ თვით მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. სსკ-ის 530-ე მუხლის შესაბამისად, დასაჩუქრებულის ბრალი ამ დროს გამორიცხულია. მჩუქებელს ხელშეკრულების დადების დროს არავითარი მატერიალური ხასიათის პრობლემა არ აქვს. იგი ნებაყოფლობით გადასცემს სხვა პირს ქონებას საკუთრებაში. გაჩუქების შემდეგ განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუკი მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომლის პირობებშიც არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირის რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება. იგულისხმება, რომ საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმვალობაში, ვიდრე გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულის მფლობელობაში. გარდა აღნიშნულისა, მჩუქებელს ეს უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. გამჩუქებელს უფლება არ აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს ნაჩუქარი ნივთის დაბრუნება, თუ ასეთი მოთხოვნის საფუძველი მან ხელოვნურად

[156] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 530 . ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=109 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

შექმნა, კერძოდ, თუ მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იგი აღმოჩნდა, გამოწვეულია მისი განზრახი მოქმედებით, ან უხეში გაუფრთხილებლობით. მძიმე მდგომარეობის ხარისხი, რამაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სასამართლომ.[157] საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ნივთი დასაჩუქრებულის საკუთრებაში იმყოფება. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია, რომ „ჩუქების გაუქმებით მოპასუხე უთუოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან მას სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი არ გააჩნია“. თუ დასაჩუქრებულმა გაჩუქებული ნივთი უკვე გაასხვისა ან სხვაგვარად გამოიყენა, მაშინ მჩუქებელს მისი მესამე პირისაგან გამოთხოვის ან დასაჩუქრებულისაგან მისი ღირებულების კომპენსაციის მიღების უფლება არ გააჩნია, ვინაიდან ჩუქება პირადი ხასიათის ურთიერთობაა უშუალოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის. მჩუქებელს ეს უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. ე.ი. დასაჩუქრებულთან ნაჩუქარი ნივთის რეალურად არსებობის მარტო ფაქტი საკმარისი არ არის. აუცილებელია კანონის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნის დაცვაც — დასაჩუქრებული არ უნდა ჩავარდეს დაახლოებით იმავე მდგომარეობაში, რამაც მჩუქებელს წარმოუშვა საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება. ამით კანონი იცავს დასაჩუქრებული პირის ინტერესებს.[158] სსკ-ის 530-ე I მუხლი ნივთის გამოთხოვის დამოუკიდებელ საფუძვლად შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ნივთი ფიზიკურად არსებობს და თუ დასაჩუქრებულს არ დაუკარგავს მასზე

---

[157] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1333-2019. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[158] ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), gcccc.ge, ბოლო დამუშავება: 24 მაისი, 2016, მუხლი 530. გვ. 3. ინფორმაციის წყარო: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-530.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

საკუთრების უფლება. სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წინაპირობაა ისეთ გარემოებათა არსებითი ცვლილება, რომელთა გათვალისწინება გამორიცხავდა ხელშეკრულების დადებას. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა, სადავო იყოს სსკ-ის 398-ე და სსკ-ის 530-ე მუხლების ურთიერთმიმართება. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლის ამომწურავად მომწესრიგებელი სსკ-ის 530-ე მუხლი, ძირითადად, გამომრიცხავ კონკურენციაშია სსკ-ის 398-ე მუხლთან, ვინაიდან ის გარემოებები, რომელთა შეცვლაც შესაძლოა, გახდეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი, სპეციალური ნორმებით არის მოწესრიგებული და ისინი უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძვლებია სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით. შესაბამისად, სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენების სფერო არ ვრცელდება ჩუქების ხელშეკრულებაზე. სსკ-ის 530-ე მუხლის, როგორც საგამონაკლისო მოწესრიგების, მიზანი, ერთი მხრივ, დასაჩუქრებულის საკუთრების უფლების დაცვა და, მეორე მხრივ, განსაკუთრებული, კანონით ზუსტად განსაზღვრული გარემოებების არსებობისას მჩუქებლის ინტერესების დაცვაა. სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენება ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით საფრთხეს უქმნის სპეციალურ მოწესრიგებათა მიზნის უზრუნველყოფას, კერძოდ, მხარეთა ინტერესების წონასწორობას. ამდენად, სსკ-ის 398-ე მუხლი შესაძლოა, ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სსკ-ის 530-ე მუხლის მიზნების გათვალისწინებით, მასთან მჭიდრო კავშირში, რაც მის დამოუკიდებელ, უფლების დამუძნებელ ნორმად გამოყენებას გამორიცხავს. ანალოგიურადაა მოწესრიგებული ეს საკითხი გერმანიის კანონდმებლობასა და სასამართლო პრაქტიკაშიც.[159] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში §528.-ე არტიკლის მიხედვით (1) რამდენადაც მჩუქებელი ჩუქების განხორციელების შემდეგ უუნარო, ღირსეულ დონეზე ირჩინოს თავი, ან განახორციელოს მასზე

[159] ძლიერიშვილი ზ., ჩუქების გაუქმების საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები. სამართლის ჟურნალი. 2017, N1, გვ. 115-116. ინფორმაციის წყარო: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/bolo%20-%20samartlis-jurnali,%201,%202017.pdf . (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

კანონით დაკისრებული რჩენის მოვალეობა თავისი ნათესავების, მეუღლის, თანაცხოვრების პარტნიორისა თუ ყოფილი მეუღლის ან ყოფილი თანაცხოვრების პარტნიორის მიმართ, მაშინ მას შეუძლია, დასაჩუქრებულისაგან მოითხოვოს საჩუქრის დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად. დასაჩუქრებულს შეუძლია, თავიდან აიცილოს საჩუქრის დაბრუნება რჩენისათვის საჭირო თანხის გადახდით. დასაჩუქრებულის ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება §760, ისევე როგორც ნათესავის რჩენის ვალდებულების მიმართ მოქმედი §1613-ით რეგულირება, ხოლო მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე §1615. (2) რამდენიმე დასაჩუქრებულიდან ყველაზე ადრე დასაჩუქრებული პასუხს აგებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უფრო გვიან დასაჩუქრებული არ არის ვალდებული.[160] უზენაესმა სასაამრთლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სსკ-ის 526-ე, 530-ე მუხლების თანახმად, ქონების გაჩუქების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება არის გამჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების საარსებო წყარო, ანუ, ამ ქონების მეშვეობით გამჩუქებელი შემოსავალს უნდა იღებდეს და გაჩუქების შემდეგ აღარ უნდა რჩებოდეს შემოსავლის სხვა წყარო, რომელიც მისი აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. საცხოვრებელი სახლის გაჩუქება, თავისთავად, არ გულისხმობს საარსებო წყაროს მოსპობას. თუ ერთადერთი საცხოვრებელი სახლის გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი უსახლ-კაროდ რჩება, მას ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია მოითხოვოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან, ქონების გაჩუქების შემდეგ იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 526-ე მუხლი კი, ეხება შემთხვევას, როდესაც, ქონების გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი შემოსავლის გარეშე რჩება. ამასთან, 530-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის

[160] კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი. თბილისი, 2014 გვ. 394- 395;

უფლება გააჩნია მხოლოდ გამჩუქებელს, 526-ე მუხლის საფუძველზე კი, გამჩუქებლის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც.[161]

5. მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადა.

5.1. დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობა

სსკ-ს 529-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.[162] დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით მოქმედებს ხანდაზმულობის შემცირებული სპეციალური ვადა. მართალია, 129 I მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა — ექვს წელს, მაგრამ 129 III მუხლი ითვალისწინებს, რომ ცალკეულ შემთხვევაში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადაც. სწორედ კანონით გათვალისწინებულ სხვა ვადებთან გვაქვს საქმე 529-ე მუხლთან — ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო — მიმართებით, კერძოდ, 529 III თანახმად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში.[163] საკასაციო სასამართლო განმარტავს: „ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის

---

[161] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-634-605-2016. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[162] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 529 მე-3 ნაწილი. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=109 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[163] ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.),გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), gcccc.ge, ბოლო დამუშავება: 24 მაისი, 2016 , მუხლი 529. გვ. 13. ინფორმაციის წყარო: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-529.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144.1-ე მუხლი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.[164] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1996 წლის 22 ოქტომრბის გადაწყვეტილებაში საქმეზე „სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" განმარტავს: „ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან, გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც, შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს".[165] საკასაციო სასამართლო სსკ-ის 529.3-ე და 130-ე მუხლებზე მითითებით „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.[166] საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხანდაზმულობაზე მითითება სარჩელის დაკმაყოფილების შემაფერხებელ შესაგებელს წარმოადგენს და ასეთ დროს მოსარჩელეს მტკიცების ტვირთი ეკისრება იმისა, რომ ამ

---

[164] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1418-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[165] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1418-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[166] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-833-833-2018. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ინსტიტუტის გამოყენების წინაპირობები არ არსებობს.[167] ერთ-ერთ საქმეზე, საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა შედავების საფუძვლები, მიიჩნია რომ კასატორის პოზიცია გაზიარებული უნდა იქნეს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ფ. გ-ის სარჩელი ხანდაზმული არ იყო, ვინაიდან შეურაცხყოფისა და დიდი უმადურობის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის - მჩუქებლის შეფასების საგანს წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ უმადურობის გამოჩენის ათვლის წერტილად მიიჩნია სარჩელის შეტანამდე რამდენიმე დღით ადრე მოპასუხის მიერ გაკეთებული მუქარა გამოსახლების თაობაზე. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ჯერ კიდევ 2003 წელს აღძრა სარჩელი ანალოგიური მოთხოვნით, არ მიუთითებდა სარჩელის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან მოსარჩელის განმარტებით დგინდებოდა, რომ წინა წლებში აღძრულ სარჩელს საფუძვლად დაედო შეურაცხყოფის და უმადურობის სხვა ფაქტები.[168] საკასაციო სასამართლო იმ გარემოებებზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ იმავე საფუძვლით ფ.გ-მა ორჯერ, 2003 და 2007 წელს მიმართა სასამართლოს ჩუქების გაუქმების მოთხოვნით. ორივე შემთხვევაში სარჩელი განუხილველად დარჩა. სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან. მოცემულ შემთხვევაში ფ. გ-ს სასამართლოსათვის ხელახლა არ მიუმართავს სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6 თვის ვადაში, ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი არ ყოფილა,

---

[167] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-462-2019 . ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[168] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-62-59-2012. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ამდენად, ცემისა და ისრაელიდან დეპორტაციის ფაქტები სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად ვერ დაედება.[169] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 532-ე პარაგრაფის მიხედვით, ჩუქების გაუქმება გამორიცხულია, თუ მჩუქებელმა აპატია დასაჩუქრებულს ან გავიდა ერთი წელი იმ მომენტიდან, როდესაც ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილმა პირმა შეიტყო თავისი უფლების რეალიზაციის წინაპირობების დადგომის შესახებ. დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ ჩუქების გაუქმება აღარ არის დასაშვები.[170] ასევე, ლუიზიანის შტატის სამოქალაქო კოდექსის 1558-ე არტიკლის მიხედვით, უმადურობის საფუძვლით ჩუქების გაუქმების გაუქმება მჩუქებელს შეუძლია იმ დღიდან მოყოლებული ერთი წლის განმავლობაში, როდესაც მჩუქებელმა გაიგო ან უნდა სცოდნოდა გამოვლენილი უმადურობის შესახებ. თუკი მჩუქებელი ამ ვადის გასვლამდე გარდაიცვალა, ჩუქების გაუქმებისა და საჩუქრის უკან გამოთხოვის უფლება მის მემკვიდრეებს უჩნდებათ ოღონდ ისიც მხოლოდ ამ ვადის განმავლობაში ან იმ შემთხვევაში თუკი უმადურობის ფაქტის შესახებ მჩუქებელმა არ იცოდა ან მაშინაც, თუ ჰქონდა მიზეზი რომ სცოდნოდა უმადურობის შესახებ, მაშინ მოქმედებს ერთწლიანი ვადა მჩუქებლის გარდაცვალების დღიდან. თუკი სარჩელი მჩუქებლის მიერ უკვე იყო შეტანილი ჩუქების საგნის გამოთხოვაზე, მის მემკვიდრეებს შეუძლიათ ჩაებან საქმეში მისი გარდაცვალების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში კი თუკი დასაჩუქრებული გარდაიცვლება, საჩუქრის გამოთხოვის საკითხი შეიძლება დადგეს მის მემკვიდრეებთან მიმართებით.[171]

5.2 დასაჩუქრებულის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნის გამო ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობა

---

[169] იქვე.

[170] კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი. თბილისი, 2014, გვ. 395.

[171] Luisiana Civil Code, (Art. 1558). ინფორმაციის წყარო: https://lcco.law.lsu.edu/?uid=56&ver=en#56. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

გსკ-სგან განსხვავებით (ნაჩუქარის უკან გამოთხოვა გამორიცხულია, თუ ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან გასულია ათი წელი), სსკ-ი არ განსაზღვრავს მაქსიმალურ ვადას, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის განხორციელება სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. მიუხედავად ასეთი ფორმულირებისა, ცხადია, რომ კანონმდებლის ნება არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, თითქოს მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში წარმოშობილი ჩუქების საგნის გამოთხოვის მოთხოვნა დროში არ არის შეზღუდული. ასეთი ინტერპრეტაცია საფუძველს მოკლებული და გაუმართლებელია კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობისა და საკუთრების უფლების დაცვის მიზნების გათვალისწინებით.[172] დასაფიქრებელია, სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის მიმართ უნდა გავრცელდეს სსკ-ის 128-ე მუხლით დადგენილი საერთო ხანდაზმულობის ვადა, თუ სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ვადები (3 ან 6) წელი. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ „სამოქალაქო კოდექსით გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის მიმართ ხანდაზმულობის რაიმე სპეციალური ვადა არაა დაწესებული, ამიტომაც ამ შემთხვევაში მოქმედებს ამავე კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადები.[173] თუმცა ამ კითხვაზე პასუხი არაა ცალსახა, ვინაიდან 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა არ არის სახელშეკრულებო მოთხოვნის კლასიკური სახე. 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. 530-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი ნაკლებად მკაფიოა და მისი

---

[172] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 530-531.

[173] ძლიერიშვილი ზ., ჩუქების გაუქმების საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები. სამართლის ჟურნალი. 2017, N1, გვ. 118-119. ინფორმაციის წყარო: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/bolo%20-%20samartlis-jurnali,%201,%202017.pdf . (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

დადგენა პრობლემურია.[174] სსკ-ის 530-ე მუხლით მოწესრიგებულ შემთხვევაში, გაჩუქებული ქონების დაბრუნების წინაპირობად მხოლოდ გაჩუქებული ნივთის რეალური არსებობა და დაბრუნებით დასაჩუქრებულის მძიმე მდგომარეობაში არჩაყენება სახელდება. ეს წინაპირობები კი ვერ ჩაითვლება საკმარის დაცვად ხანდაზმულობის სხვა მიზნებიდან, მაგალითად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სამოსამართლო სამართლის მეშვეობით უნდა მოხდეს. კერძოდ, სსკ-ის 128-ე III მუხლი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ხანდაზმულად იქნეს მიჩნეული, თუკი ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან ათი წელი გავიდა.[175]

თავი 6. ჩუქების გაუქმებასთან დაკავშირებული საპროცესო სამართლებრივი პრობლემები

ჩუქების გაუქმების უფლებასთან მიმართებით პრობლემური საკითხია საპროცესო უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი ითვალისწინებს საპროცესო უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობას პროცესის ყოველ სტადიაზე.[176] საპროცესო უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი საფუძველია მოქალაქის გარდაცვალება. საპროცესო უფლებამონაცვლეობა მთლიანად დამოკიდებულია მატერიალურ სამართალზე. თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.[177] საკასაციო პალატა ხაზგასმით

---

[174] ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.),გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), gcccc.ge, ბოლო დამუშავება: 24 მაისი, 2016, მუხლი 530. გვ. 7. ინფორმაციის წყარო: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-530.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[175] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 532.

[176] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 09 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1050-2019 . ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[177] იქვე.

აღნიშნავს, რომ ნაჩუქარი ქონების გამოთხოვის უფლება როგორც არადამოუკიდებელი აღმჭურველი უფლება, არც გადაცემადია და არც მისი დაგირავებაა შესაძლებელი. მისი პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე იგი ასევე არც მემკვიდრეობით გადაცემადია. დაზარალებულ მჩუქებელს მხოლოდ თვითონ შეიძლება ჰქონდეს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება. თუმცა უკვე გაცხადებული გამოთხოვიდან გამომდინარე უფლებები არ გევლინებიან პერსონალური ხასიათის უფლებებად და შესაბამისად გადადიან მჩუქებლის მემკვიდრეებზე.[178] სხვა საქმეზე საკასაციო პალატამ საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო შემდეგ გარემოებათა გამო: „მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელე გარდაიცვალა. ამდენად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია მოსარჩელის გარდაცვალება, შესაბამისად, უნდა გარკვეულიყო, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასაშვებია თუ არა უფლებამონაცვლეობა. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.[179] საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მჩუქებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. მითითებული საფუძვლით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მიზანია მჩუქებლის მატერიალური

[178] იქვე.
[179] იქვე.

მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ცხადია, ეს მიზანი ვეღარ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული ქონებრივი უფლება მჩუქებლის სამკვიდროში არ შედის და, შესაბამისად, არც მის მემკვიდრეებზე გადადის. შესაბამისად, რადგან მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში არ დაიშვება, დაუშვებელია ასევე საპროცესო უფლებამონაცვლეობაც. (სსკ-ის 530-ე, 1330-ე მუხლები). რაც შეეხება 529-ე მუხლის შესაბამისად ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის აღძვრის შემდეგ მჩუქებელი გარდაიცვალა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, რადგან სამკვიდროს აქტივში შედის ქონებრივი უფლებები, მათ შორის ჩუქების გაუქმების მოთხოვნაც და, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები საბოლოოდ დადასტურდება, მაშინ ის სამართლებრივი შედეგი მიიღება, რომლის მიღწევაც გარდაცვლილ მჩუქებელს სარჩელის აღძვრით სურდა- ნაჩუქარ უძარვ ქონებებებზე უფლება სამკვიდო ქონებაში შევა {სსკ-ის 1328-ე, 1424-ე, 1421.1 და 1433-ე მუხლები}.[180] საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა ნივთის გამჩუქებელს შეუძლია და მიუთითა, „რომ რაც შეეხება პირველი მომჩივნის იმ მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოება უნდა შეეწყვიტა ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ნაწილშიც იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის გარდაცვალების გამო დაუშვებელი იყო უფლებამონაცვლეობა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან სამკვიდრო მასაში შედის ქონებრივი უფლებები, მათ შორის ჩუქების გაუქმების მოთხოვნაც {სსკ-ის 1328-ე მუხლი} და, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები საბოლოოდ დადასტურდება, მაშინ ის სამართლებრივი შედეგი მიიღება, რომლის მიღწევაც აწ გარდაცვლილს

[180] იქვე.

სურდა - ნაჩუქარ უძრავ ქონებაზე უფლება სამკვიდრო მასაში შევა; აქედან გამომდინარე, მასზე უფლება გარდაცვლილის მემკვიდრეებს წარმოეშობათ {სსკ-ის 1328-ე, 1424-ე, 1421.1 და 1433-ე მუხლები}.[181] ჩუქების გაუქმებასთან მიმარებით მნიშვნელოვანია, თუ ვის შეუძლია მოითხოვოს ჩუქების გაუქმება. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტას არა მხოლოდ მატერიალურსამართლებრივი, არამედ საპროცესოსამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, რამეთუ მას უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა სათანადო მხარე. არის თუ არა სარჩელის აღმძვრელი პირი სათანადო მოსარჩელე, განისაზღვრება მატერიალურსამართლებრივი ნორმების საფუძველზე.[182] უზენაესმა სასამართლომ საინტერესო განმარტება გააკეთა 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 529-ე მუხლის გამიჯვნისა და სათანადო მხარის განსაზღვრის კუთხით, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილით, ნიშნობის საჩუქრის უკან გამოთხოვაზე უფლებამოსილი პირები მხოლოდ ნიშნობის მხარეები არიან და არა მჩუქებელი, რომელმაც ნაჩუქარი ნივთი ნებაყოფლობით საკუთრებაში გადასცა ნიშნობის მხარეებს. მჩუქებელს ნაჩუქარ ნივთზე პრეტენზია შეიძლება წარმოეშვას, მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.[183] პრაქტიკისათვის ასევე პრობლემურია საკითხი, შეიძლება თუ არა სსკ-ის 529-ე და 530-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა დასაჩუქრებულის მემკვიდრეებისაგან? ამ პრობლემის ცალსახად გადაწყვეტის მიზნით უმჯობესი იქნება, თუკი სსკ-ით გათვალისწინებულ ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს

---

[181] იქვე.

[182] ძლიერიშვილი ზ., ჩუქების გაუქმების საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები. სამართლის ჟურნალი. 2017, N1, გვ. 119. ინფორმაციის წყარო: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/bolo%20-%20samartlis-jurnali,%201,%202017.pdf . (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

[183] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-297-280-2010. ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19/07/2020)

დაემატება გსკ-ის 532-ე პარაგრაფის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ანალოგიური შინაარსის მქონე დებულება, კერძოდ: „დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში ჩუქების გაუქმება დაუშვებელია“.[184]

ასევე საინტერესოა ისეთი საკითხის განხილვა, როგორიცაა დაბადების დღეზე ნაჩუქარი საჩუქრი. კერძოდ, თუკი დანიშნულმა პირმა ნიშნობის დღეს, საჩუქრად გადასცა მეორე დანიშნულს დაბადების დღის საჩუქარი და შემდგომში ქორწინება არ შედგა, (იგულსხმება, რომ ნიშნობისა და დასაჩუქრებული დანიშნულის დაბადების დღე ერთსა და იმავე დღესაა). ამ დროს, რომელი საფუძვლით მოხდება საჩუქრის გამოთხოვა 529-ე მუხლის საფუძველზე, 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ვინაიდან ქორწინება არ შედგა, თუ საჩუქარი საერთოდაც დასაჩუქრებულს დარჩება?. ვფიქრობ, იმ შემთხვევაში, თუკი ქორწინების ჩაშლის საფუძველს მაგ. დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის მიმართ ჩადენილი მძიმე შეურაცხყოფა მაგ. ღალატი წარმოადგენს, ამ დროს საჩუქრის გამოთხოვა მჩუქებლს უნდა შეეძლოს 529-ე მუხლის საფუძველზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი წყვილმა უბრალოდ გადაიფიქრა და შემდგომში ქორწინება არ შედგა, სსკ-ის 1109-ე მუხლით ვერ მოითხოვს დაბრუნებას იმ საფუძვლით, რომ „ჩემი დანიშნული რომ არ ყოფილიყო, ასეთ ძვირფას საჩუქარს არ გადავცემდი“. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გათვალისწინებული უნდა იყოს საჩუქრის სპეციფიკურობა, მჩუქებლის განხრახვა და დასაჩუქრებულის მოლოდინი. კერძოდ, ის რომ ის დაბადების დღის საჩუქარია და მისი ჩუქებაც სწორედ ამ მოვლენამ გამოიწვია და არა ნიშნობამ.

[184] ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 543.

შედეგები და მათი განსჯა

ნაშრომში, „ჩუქების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები“, განხილულია ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი. ამ მიზნით ნაშრომში დიდი ყურადღება დაეთმო შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებას, აგრეთვე საქართველოს საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განზოგადებას.

საკვლევი საკითხის მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენად ნაშრომში მიმოხილულია მოკლე ისტორიული ექსკურსი. წარმოჩენილია რომის სამართლის მნიშვნელობა და მისი გავლენა, ჩუქების გაუქმების საკითხითან მიმართებით, როგორც ძველ ქართულ, ასევე თანამედროვე ქართულ და უცხოურ სამართალში.

ნაშრომში განხილული არის, საკვლევი საკითხის მოწესრიგება ლუიზიანის შტატის, ფრანგული, იტალიური, გერმანული და სხვა ქვეყნების სამართლის მიხედვით, რითაც ნათელი ხდება ის მსგავსება-განსხვავებები, რაც არსებობს ნაშრომის მთავარ საკითხთან მიმართებით ქართულ და უცხოურ სამართლებრივ სივრცეებში. ასევე, განხილულია ჩუქების ხელშეკრულების სხვა ისეთი სახეები, რომელსაც არ იცნობს ქართული სამოქალაქო სამართალი, თუმცა ჩუქების გაუქმების საკითხის მიმართ, მსგავს რეგულაციებს აღაირებენ, რითაც შესაძლებელი ხდება პარალელის გავლება ჩვენსა და უცხოური ქვეყნების მიდგომებს შორის, საკვლევ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ საკვლევ თემაში ძირითადად გამოყენებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი სასამრთლო გადაწყვეტილებები, რაც ფაქტობრივად ნაშრომში შემაჯამებელ ხასიათსათს ატარებს.

დასკვნა

სსკ-ის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა. დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხოფა შეფასებითი კატეგორიებია. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემოწმებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც მჩუქებლის მიერ გარემოებების აღქმა, ე.წ. სუბიექტური თვალსაწიერი, ასევე მოსამართლის მიერ იმის შეფასება, თუ როგორ აღიქვამდა ამ გარემოებებს იმავე პირობებში მყოფი სხვა ადამიანი. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ამ ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი, რაც განპირობებულია მხარეთა შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობით, რაც თვით ჩუქების მოტივად განიხილება. დასაჩუქრებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ან დიდი უმადურობის გამოჩენა მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, სპობს იმ საფუძველს, რამაც ჩუქება წარმოშვა. ამიტომაც არ არის გასაზიარებელი იმის მტკიცება, რომ სსკ-ის 529-ე მუხლით ილახება დასაჩუქრებულის, როგორც მესაკუთრის ინტერესები. ზოგჯერ ჩუქების გაუქმება გამოწვეულია არა დასაჩუქრებულის უმადურობით, არამედ თვით მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. დასაჩუქრებულის ბრალი ამ დროს გამორიცხულია. ამიტომაცაა, რომ სსკ-ის 530-ე მუხლი საზოგადოდ უსასყიდლობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების შეწყვეტის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა იქნეს განხილული. სსკ-ის 529-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ჩუქების გაუქმების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს, ეს უფლება არ გადადის მემკვიდრეობით და სსკ-ის 1330-ე მუხლის თანახმად, ეს უფლება არ შედის სამკვიდროში. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სსკ-ის 529-ე II მუხლს დაემატოს გსკ-ის § 530-ე მეორე ნაწილით გათვალისწინებული ანალოგიური შინაარსის დებულება, კერძოდ „ჩუქების გაუქმებისა და გაჩუქებული ქონების გამოთხოვის უფლება

მჩუქებლის მემკვიდრეებს გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებულის მართლსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის სიცოცხლის მოსპობა ან ხელი შეუშალა მჩუქებელს ჩუქების გაუქმებაში". რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებას, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, იგი პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მჩუქებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. მითითებული საფუძვლით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მიზანია მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ცხადია, ეს მიზანი ვეღარ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული ქონებრივი უფლება მჩუქებლის სამკვიდროში არ შედის და, შესაბამისად, არც მის მემკვიდრეებზე გადადის. მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში არ დაიშვება, დაუშვებელია ასევე საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.

სსკ-ის 530-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს და ეს უფლება არ გადადის მემკვიდრეობით, რადგან 1330-ე მუხლის თანახმად, ეს უფლება არ შედის სამკვიდროს აქტივში. პრაქტიკისათვის პრობლემურია საკითხი, შეიძლება თუ არა სსკ-ის 529-ე და 530-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა დასაჩუქრებულის მემკვიდრეებისაგან? ვფიქრობ, რომ არა. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა სსკ-ის 453-ე, 529-ე, 1306-ე, 1328-ე, 1330-ე მუხლების ანალიზი. თუმცა კი ამ პრობლემის ცალსახად გადაწყვეტის მიზნით უმჯობესი იქნება, თუკი სსკ-ით გათვალისწინებულ ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს დაემატება გსკ-ის 532-ე პარაგრაფის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ანალოგიურ შინაარსის მქონე დებულება, კერძოდ: „დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში ჩუქების გაუქმება დაუშვებელია“.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014. ინფომრაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/Contract_Law_Textbook_GEO.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
2. ძლიერიშვილი ზ., ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018
3. ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) gcccc.ge, ბოლო დამუშავება: 24 მაისი, 2016 ინფორმაციის წყარო: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-529.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020) / http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-530.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
4. მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e1839be18394e183a2e183a0e18394e18395e18394e1839ae18398-e183a0e1839de1839be18398e183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e18390.pdf?fbclid=IwAR3fW5ZDfEAYQDPKicKtZihDDXs9wFjaYTwpp35RPLmCkFAWWOnDy9xuU34 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
5. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბილისი: საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005. ინფორმაციის წყარო: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/187881/1/EvropuliKerdzoSamartlisRecepciaSaqartveloshi.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
6. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003. ინფორმაციის წყარო : file:///C:/Users/7/Downloads/metreveli%20(1).pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
7. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები. თბილისი, 2010. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/xoferia-garishvili-romi.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
8. ურბნელისა ნ., ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი. ტფილისი: სტამბა - ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეტაევისა, 1890. ინფორმაციის წყარო:

http://www.library.court.ge/upload/atabagni_beqa_da_aghbugha_da_maTi_samartali.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
9. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017. ინფორმაციის წყარო: http://www.library.court.ge/upload/giz2017-ge-xelshekrulebis_tavisufleba.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
10. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, 2011
11. ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017 ინფორმაციის წყარო: http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
12. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I. თბილისი : გამომცემლობა სამართალი, 2001. ინფორმაციის წყარო: https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/komentarebi-4-saxelshekrulebo.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
13. ამირანაშვილი გ., გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018. ინფორმაციის წყარო: http://openlibrary.ge/bitstream/123456789/8653/1/Compulsion%20to%20Form%20of%20Transaction%20as%20a%20Limitation%20of%20Freedom%20of%20Form.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
14. დარჯანია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 76. ინფორმაციის წყარო: http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
15. კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი. თბილისი, 2014
16. ზოიძე თ., საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში (ავტორთა კოლექტივი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, 2017. ინფორმაციის წყარო: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

სტატიები

17. საკო რ., ხელშეკრულების დადება. ჟ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 2011-2012, ინფორმაციის წყარო:

https://newvision.ge/sites/default/files/xelshekrulebis_dadeba.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
18. ძლიერიშვილი ზ., ჩუქების გაუქმების საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები. სამართლის ჟურნალი. 2017, N1. ინფორმაციის წყარო: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/bolo%20-%20samartlis-jurnali,%201,%202017.pdf . (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

უცხოენოვანი ლიტერატურა

19. Hyland R. GIFTS A STUDY IN COMPARATIVE Law. New York: Oxford University Press. 2009. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=wa7mCwAAQBAJ&pg=PA524&dq=REVOKING+THE+DONATION+DUE+TO+GROSS+INGRATITUDE+OF+THE+DONEE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiE-bHJ7KnoAhUsSxUIHV4vBOoQ6AEIUDAE#v=onepage&q=REVOKING%20THE%20DONATION%20DUE%20TO%20GROSS%20INGRATITUDE%20OF%20THE%20DONEE&f=false (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
20. W. Rome G., Kinsella S., Luisiana Civil Law Dictionary. New Orleans, Louisiana: Quid Pro Books. 2011. ინფორმაციის წყარო: https://books.google.ge/books?id=4lhscUogaLYC&pg=PT30&lpg=PT30&dq=meaning+of+donation+inter+vivos,+mortis+causa+and+omnium+bonorum&source=bl&ots=QDcOGsy30q&sig=ACfU3U2TRq1Yg_YlioBD0Caln7rLZxYSKA&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwiO7oOOkaLqAhXxRhUIHZkqAYsQ6AEwAHoECAkQAQ#v=onepage&q=meaning%20of%20donation%20inter%20vivos%2C%20mortis%20causa%20and%20omnium%20bonorum&f=false (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
21. Новицкий И.Б., Перетерский И.С. (ред.), Римское частное право. Москва: Юриспруденция, 1999. Императорские pacta (pacta legitima). ინფორმაციის წყარო: http://lib.maupfib.kg/wp-content/uploads/novizkiy.pdf?fbclid=IwAR0U6n_NXvM6ir-abhpiGXXtlcLvpbKEOGtbIyTu7IVUQZO2vF11yB1u8kU (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

სტატიები

22. Alexanda K. Glazier, Organ Donation and the Principles of Gift Law. Clinical Journal of the American Society of Nephrology. August 2018, Vol. 13, No. 8, ინფორმაციის წყარო: https://cjasn.asnjournals.org/content/clinjasn/13/8/1283.full.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
23. Dauti A., Contract for Donation in the Roman Law and its Development in the Positive Law in Kosovo. Acta Universitatis Danubius. Juridica, Vol 15,

No 3 (2019). ინფორმაციის წყარო: http://journals.univ-danubius.ro/index.php/juridica/article/view/5629/5178 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

24. Romero M. PETRIE V. MICHETTI, AND THE INDELIBLE NATURE OF DONATIONS INTER VIVOS. Journal of Civil Law Studies. 2013, Volume, Number 1. ინფორმაციის წყარო: https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1104&context=jcls (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

კანონმდებლობა

25. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
26. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“. ინფორმაციის წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=72 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
27. Luisiana Civil Code. ინფორმაციის წყარო; https://lcco.law.lsu.edu/?uid=53&ver=en#53 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)
28. Spanish Civil Code. Ministerio de Justicia, 2013. ინფორმაციის წყარო: http://derechocivil-ugr.es/attachments/article/45/spanish-civil-code.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

სასამართლო გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლო

29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის გადაწვყეტილება საქმეზე NN/2/155 . ინფორმაციის წყარო: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=148 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

უზენაესი სასამართლო

ინფორმაციის წყარო: http://www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

30. 2012 წლის 24 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-221-213-2012.
31. 2015 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-127-119-2015.
32. 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1333-2019.
33. 2019 წლის 2 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-33-33-2018.
34. 2018 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1230-2018.
35. 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-497-2019.

36. 2019 წლის 25 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-963-2018.
37. 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-683-683-2018.
38. 2019 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1043-2019.
39. 2020 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1820-2019.
40. 2019 წლის 15 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1470-2018.
41. 2010 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-571-879-09.
42. 2003 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-150-846-03.
43. 2015 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-750-718-2014.
44. 2015 წლის 1 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1341-1379-2014 .
45. 2015 წლის 6 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1214-1156-2014.
46. 2019 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1050-2019.
47. 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-744-2019.
48. 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-361-361-2018.
49. 2017 წლის 31 მარტის განჩინება საქმეზე №ას-694-665-2016.
50. 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1333-2019.
51. 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1418-2018.
52. 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-833-833-2018.
53. 2019 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-462-2019 .
54. 2013 წლის 05 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-62-59-2012.
55. 2019 წლის 09 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1050-2019.
56. 2010 წლის 14 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-297-280-2010.
57. 2019 წლის 5 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1183-2018.
58. 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-710-676-2015.
59. 2016 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-910-860-2015.
60. 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1067-1006-2015.
61. 2016 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-634-605-2016.

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება

62. STATE OF LOUISIANA COURT OF APPEAL FIRST CIRCUIT, 2014 CA 1532. ინფორმაციის წყარო: https://cases.justia.com/louisiana/first-circuit-court-of-appeal/2015-2014ca1532.pdf?ts=1429898885 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

ელექტრონული პუბლიკაცია

63. The Concept of a Gift/Don Comparative study – Civil Law Common Law – Tax Law ინფორმაციის წყარო: https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/csj-sjc/harmonization/siroi/gift3-don.html (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19/07/2020)

~